



კოალიცია თანასწორობისთვის
საქმიანობის ანბარი

2021

კოალიცია თანასწორობისთვის
საქმიანობის ანგარიში
2021

თბილისი
2022



„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), კავშირი „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) და თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა „კოალიციამ თანასწორობისთვის“ და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევნი

შესავალი 6

მეთოდოლოგია 8

თავი I

შეჯამება და ძირითადი ტენდენციები 9

თავი II

საანგარიშო პერიოდში წარმოებულ საქმეები 15

1. დისკრიმინაცია გამოხატვის, კოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო 16
 - 1.1. ლ. ჩ. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის წინააღმდეგ 16
 - 1.2. გ. ბ. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის წინააღმდეგ 17
 - 1.3. მ. გ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ 17
 - 1.4. ი. ჯ. ბათუმის ბულვარის წინააღმდეგ 18
 - 1.5. კურიერები Bolt Food-ის წინააღმდეგ 20
 - 1.6. გიორგი მურთაზაშვილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ 22
 - 1.7. დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ 23
 - 1.8. თეა კასრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ 26
2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია 28
 - 2.1. შ. უ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ 28
 - 2.2. ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ 29
3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება საგუშაო ადგილზე 31
 - 3.1. თ. კ. კერძო კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ 31
 - 3.2. თ. ბ. საქართველოს პარლამენტის წევრი კაცი დეპუტატების წინააღმდეგ 33
 - 3.3. ნ. გ. ადვოკატ ლ. ჯ.-ის წინააღმდეგ 35
 - 3.4. ქალი ფეხბურთელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ 38
 - 3.5. ხ. ლ. სს „ლიბერთი ბანკის“ წინააღმდეგ 40
 - 3.6. ნ. გ შპს „ვესტას“ წინააღმდეგ 41
4. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით 42
 - 4.1. ა(ა)იპ „ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელის“ თანამშრომელი „კოპიპრინტ 2000“-ის წინააღმდეგ 42
 - 4.2. „თანასწორობის მოძრაობა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ 44
 - 4.3. ლ. ც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინააღმდეგ 46
5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით 48
 - 5.1. ლ. ხ. და შ. თ. - საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ 48
 - 5.2. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის საქმე 50
 - 5.3. PHR საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ 53
 - 5.4. ა. ბ. საბავშვო ბაღის წინააღმდეგ 55

შესავალი

„კოალიცია თანასწორობისთვის“ არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის¹ მიღების პროცესში, ჩამოყალიბდა. ამჟამად, კოალიციაში შედის 11 არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), კავშირი „საფარი“, უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF) და თანასწორობის მოძრაობა. 2020 წელს, კოალიციის თავმჯდომარედ მეორე ვადით აირჩა კავშირი „საფარი“, რომელსაც 2021 წელსაც გაუგრძელდა უფლებამოსილება. კოალიციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. კოალიციას გააჩნია წესდება, სტრატეგია და წევრთა მიღების წესი. კოალიციის ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

კოალიციის მიზანია დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის გზით თანასწორობის პრინციპების დაცვა². „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები, საქმიანობის სხვა მიმართულებებთან ერთად, ყოველწლიურად სწავლობენ ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და ამზადებენ შესაბამის კოალიციურ ანგარიშებს³. გარდა ამისა, კოალიციის წევრი ორგანიზაციები ახორციელებენ სამართალწარმოებას, რისთვისაც იყენებენ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

1. საქართველოს პარლამენტმა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 2014 წლის 2 მაისს მიიღო. მისი მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორი სარგებლობის უზრუნველყოფა.
2. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტიას.
3. იხ.: დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, კოალიციის 2021 წლის ანგარიში, <https://bit.ly/3nptl0x>; REPORT OF THE COALITION FOR EQUALITY AND OTHER NGOS TO THE PRE-SESSIONAL WORKING GROUP OF THE UNITED NATIONS COMMITTEE ON THE ELIMINATION OF DISCRIMINATION AGAINST WOMEN (CEDAW), 81ST SESSION, 2021, <https://bit.ly/3wix3zy>; SHADOW REPORT OF THE COALITION FOR EQUALITY AND OTHER NGOS TO THE „Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence (GREVIO)“, 2021, <https://bit.ly/3IED6jH>; Human Rights Council Universal Periodic Review (third cycle, 37th session, 2020), Georgia, Coalition for Equality Report on Equality and Vulnerable Groups in Georgia, 2020, <https://bit.ly/3aqvYDK> [03.07.2022].

კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს⁴ და ამზადებენ საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს⁵.

წინამდებარე ანგარიში არის „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქმიანობის რიგით მეექვსე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2021 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ ამ პერიოდში წარმოებული საქმეები, სახალხო დამცველის აპარატსა და საერთო სასამართლოებში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, აგრეთვე, 2021 წელს წარმოებული საქმეების საფუძველზე შედგენილი სტატისტიკა.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების სტრატეგიული სამართალწარმოება ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული პირის უფლებების დაცვას, არამედ - სისტემური რეფორმების განხორციელებასა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრასაც.

წინამდებარე ანგარიშის პირველ თავში შეჯამებულია საქმეების წარმოების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები, ასევე საქართველოში არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც სხვადასხვა კვლევებით არის გამოყარებული. ანგარიშის მეორე თავში განხილულია უშუალოდ ის საქმეები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში აწარმოეს კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა. საქმეები დაჯგუფებულია დისკრიმინაციისგან დაცული 5 საფუძვლის მიხედვით: 1. გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია; 2. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია; 3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება; 4. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით და 5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. თითოეულ საქმესთან მიმართებით, მიმოხილულია საქმის მნიშვნელობა, მისი ფაქტობრივი გარემოებები, საქმის მიმდინარეობა და მისი სამართლებრივი შეფასება.

4. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას, მათ შორის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადების და საჩივრის საფუძველზე, ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

5. იხ. „კოალიცია თანასწორობისთვის“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, <https://bit.ly/3nqJQ43> [30.06.2022].

მეთოდოლოგია

საანგარიშო პერიოდში, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა წარმოებაში მიიღეს 14 ახალი საქმე. აღნიშნულის გარდა, ორგანიზაციებმა განაგრძეს მუშაობა 2021 წლამდე დაწყებულ საქმეებზე. მათ ნაწილზე (9 საქმე) დასრულდა წარმოება ან შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა 2021 წელს.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში, მათ შორის, სტატისტიკაში, არ არის ასახული საქმეები, რომელსაც კოალიციის წევრი ორგანიზაციები აწარმოებენ, თუმცა, შესაბამისი განმხილველი ორგანოს მხრიდან 2021 წლის განმავლობაში სიახლე არ ყოფილა.

შესაბამისად, ანგარიში მოიცავს იმ საქმეების ანალიზს, რომლებზეც წარმოება დაიწყო საანგარიშო პერიოდში ან 2021 წლამდე, თუმცა განხილვა დასრულდა ან/და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საანგარიშო პერიოდში.

საერთო ჯამში, ანგარიშში განხილულია კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებული **23 საქმე**, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა: 9 საქმე - უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი); 3 საქმე - საია; 3 საქმე - PHR (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის); 3 საქმე - კავშირი „საფარი; 3 საქმე - WISG; 1 საქმე - TDI და 1 საქმე - თანასწორობის მოძრაობა.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის საქმეების მხარეები მოხსენიებულნი არიან ინიციალებით (სახელისა და გვარის/სახელწოდების პირველი ასო). ამ წესიდან გამონაკლისია გაკეთებული იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს, მათი სახელი და გვარი/სახელწოდება სრულად ყოფილიყო ანგარიშში მოხსენიებული. სრული სახელითა და გვარით/სახელწოდებით არიან წარმოდგენილნი ის პირებიც, რომლებმაც ამ დავებში მათი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავად გახადეს საჯარო⁶.

6. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა.


თავი I

შეჯამება და ძირითადი თანდენსიები

ზოგადი ინფორმაცია


2020 წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები განათლებისა და სპორტის სფეროში⁷. თუმცა, წინა წლების მსგავსად, დისკრიმინაციის ყველაზე მეტი შემთხვევა, სფეროს თვალსაზრისით, კვლავ შრომით ურთიერთობებს უკავშირდებოდა (12 საქმე)⁸. აგრეთვე, რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციულ ქმედებას, 2020 წლის მსგავსად, კვლავ აქტუალური იყო სექსუალური შევიწროების საკითხი, როგორც სამუშაო ადგილას, ისე - კერძო ურთიერთობებში⁹, ხოლო რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციულ მოპყრობას ადგილი ჰქონდა მომსახურების სფეროში¹⁰ და ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური სერვისების მიღების დროს¹¹.

საერთო ჯამში, 23 საქმიდან, 2019 წლის მსგავსად, პირველ ადგილზეა გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაცია (8 საქმე)¹²; მეორე ადგილზეა გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება (6 საქმე)¹³; 2020 წლის მსგავსად, მესამე ადგილზეა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით (4 საქმე); მეოთხე ადგილზეა დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით (3 საქმე)¹⁴, ხოლო 2020 წლის მსგავსად, ბოლო ადგილზეა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია (2 საქმე)¹⁵.



7. იხ. საქმეები: „თანასწორობის მოძრაობა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ; ლ. ც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინააღმდეგ; ქალი ფეხბურთელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ.
8. იხ. საქმეები: ლ. ჩ. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის წინააღმდეგ; გ. ბ. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის წინააღმდეგ; მ. გ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ; ი. ჯ. ბათუმის ბულვარის წინააღმდეგ; კურიერები“ Bolt Food“-ის წინააღმდეგ; გიორგი მურთაზაშვილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ; დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ; თეა კასრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ; შ. უ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ; თ. კ. კერძო კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ; ს. ლ. სს “ლიბერთი ბანკის” წინააღმდეგ; ნ. გ. შპს “ვესტას” წინააღმდეგ.
9. იხ. საქმეები: თ. კ. კერძო კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ; თ. ბ. საქართველოს პარლამენტის წევრის კაცი დეპუტატების წინააღმდეგ; ნ. გ. ადვოკატ ლ. ჯ.-ის წინააღმდეგ.
10. იხ. საქმე ა(ა)იპ “ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელის” თანამშრომელი „კოპიპრინტ 2000“-ის წინააღმდეგ.
11. იხ. საქმეები: ლ. ბ. და შ. თ. - საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ; PHR საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ.
12. 2020 წელს გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო, დისკრიმინაციის საქმეები მეორე ადგილზე იყო.
13. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პირველ ადგილზე იყო სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების საქმეები.
14. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები 2019 წელს იყო მეორე ადგილზე, ხოლო 2020 წელს - მესამე ადგილზე.
15. 2019 წელს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები მესამე ადგილზე იყო.

23 საქმიდან 8 შემთხვევაში სავარაუდო დისკრიმინაციის განმახორციელებელი იყო კერძო პირი, ხოლო 15 შემთხვევაში კი - საჯარო დაწესებულება.



უმეტეს შემთხვევაში, უფლების დაცვის მექანიზმად გამოყენებულია სასამართლოსათვის მიმართვა, კერძოდ 23 საქმიდან, 13 შემთხვევაში დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე მიმართეს სასამართლოს, 8 შემთხვევაში - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, ხოლო საანგარიშო პერიოდში, 2 საქმეზე განცხადება/სარჩელი წარადგინეს როგორც სასამართლოში, ისე - სახალხო დამცველის აპარატში¹⁶.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებულ 5 საქმეზე გამოსცა რეკომენდაცია, ხოლო ერთზე – ზოგადი წინადადება. საქმის წარმოება დასრულდა ორ საქმეზე რეკომენდაციისა და ზოგადი წინადადების გამოცემის გარეშე, ხოლო საანგარიშო პერიოდში წარდგენილ 1 განცხადებაზე წარმოება კვლავ მიმდინარეობს.

რაც შეეხება სასამართლოს მიდგომებს, საანგარიშო პერიოდში 6 საქმეზე დასრულდა საქმის განხილვა. აქედან, 4 შემთხვევაში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 2 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

COVID-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები საქართველოში, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო¹⁷.

ძირითადი ტენდენციები

2021 წელს როგორც წინასაარჩევნო პერიოდში¹⁸, ასევე არჩევნების დასრულების შემდგომ, გამოიკვეთა სახელმწიფო უწყებებში პოლიტიკური ნიშნით პირთა შრომის თავისუფლებაში ჩარევის ტენდენცია. საანგარიშო პერიოდში, **საია-მ და უფლებები საქართველომ**, სავარაუდო დისკრიმინაციული, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების

16. აღსანიშნავია, რომ როგორც სახალხო დამცველისათვის, ისე სასამართლოსთვის მიმართვის პრაქტიკა გამოვლინდა „უფლებები საქართველოსთან“ მიმართებით.

17. იხ. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, კოალიციის 2021 წლის ანგარიში, <https://bit.ly/3ntpl0x>; REPORT OF THE COALITION FOR EQUALITY AND OTHER NGOS TO THE PRE-SESSIONAL WORKING GROUP OF THE UNITED NATIONS COMMITTEE ON THE ELIMINATION OF DISCRIMINATION AGAINST WOMEN (CEDAW), 81ST SESSION, 2021, <https://bit.ly/3wix3zy>, [03.07.2022].

18. მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შრომით ურთიერთობაში პოლიტიკური ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, <https://bit.ly/3HYvyRB> [29.06.2022].

გამო სამსახურიდან თანამშრომლის გათავისუფლებისა და სამსახურებრივი შევინ-როების 8 (რვა) საქმეზე იმუშავა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პირების სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო მათ მიერ სოციალურ ქსელში ოპოზი-ციური პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების განთავსება. ასევე, თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად იკვეთე-ბა მმართველი პარტიის სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში ჩართვაზე უარის თქმა. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ხშირად არასასურველი თანამშრომლის სამ-სახურიდან გათავისუფლების საბაბად იყენებენ რეორგანიზაციას, რომელიც კანონის გვერდის ავლით ტარდება.

ორგანიზაცია „საფარის“ მიერ წარმოებული საქმეები მიუთითებს სამსახურებრივი და თანამდებობრივი, მათ შორის, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე კაცების მხრიდან თანამშრომელი ქალების ფიზიკური, ვერბალური თუ არავერბალური ფორმით სექსუა-ლური შევიწროების ჩადენის ფაქტებზე. ყველა საქმეზე, ორგანიზაციამ სექსუალური შევიწროების დადგენის მოთხოვნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა. აქედან, ერთ საქმეზე სახალხო დამცველმა უკვე დაადგინა სექსუალური შე-ვიწროების ჩადენა, 1 საქმეზე დაასრულა შესწავლა (ზოგადი წინადადების ან რეკომენ-დაციის გამოცემის გარეშე), ხოლო 1 საქმეზე კვლავ მიმდინარეობს წარმოება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ წარმოებული საქმეები ასახავს საჯარო დანუსებულებებისა თუ კერძო პირების მხრიდან სქესის, სექსუალური ორიენ-ტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებს. 2020-2021 წლებში წარმოებულ სამივე საქმეზე, რომლებზეც გადაწყვეტილება საანგარიშო პე-რიოდში იქნა მიღებული, სახალხო დამცველმა დაადგინა აღნიშნული ნიშნით დისკრი-მინაცია და შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა ადრესატებს.

ორგანიზაციამ თანასწორობის მოძრაობა უფლების დაცვის მექანიზმად სახალხო დამ-ცველისადმი მიმართვა გამოიყენა. აღნიშნული საქმის წარმოების შედეგად, ერთ-ერთი უნივერსიტეტის სასწავლო მასალის ჰომოფობიური და დისკრიმინაციული შინაარსის მატარებელი ლიტერატურა სხვა შესაბამისი სახელმძღვანელოებით ჩანაცვლდა.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მიერ შესწავლილი საქმეები მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების მიმართ დისკრი-მინაციულ მოპყრობას ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ორგანი-ზაციამ სტრატეგიული სამართალწარმოების გზად აირჩია ეროვნული სასამართლოე-ბისადმი მიმართვა, ასევე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება. სამივე საქმეზე, სასამართლომ გამოსცა დროებითი განჩინება, რომლითაც შესაბამის უწყებებს დაევა-ლათ სათანადო ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება, ხოლო ძირითად სარჩელებ-თან დაკავშირებით კვლავ გრძელდება საქმის განხილვა.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სოციალური სამართლიანობის ცენტრთან (ყოფილი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი) ერთად, კვლავ აგრძელებს დავას ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე. მათ გაა-საჩივრეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც ბათუმის მერიას პირდაპირ არ დაევალა განცხადების დაკმაყოფილება მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიაზე, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ-

ჟამად დავა გრძელდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საკასაციო საჩივრები მიიღო წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

როგორც კოალიციის მიერ წარმოებულ საქმეებზე დაყრდნობით, ისე ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზების გათვალისწინებით, რომელიც გამყარებულია სხვადასხვა კვლევებითა და ანგარიშებით, შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ✓ საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო პოლიტიკური ნიშნით თუ განსხვავებული აზრის გამო დისკრიმინაციის ფაქტები. კერძოდ, კვლავ გამოწვევად რჩება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების გამო, რა მიზეზითაც ხდება დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლება;
- ✓ საანგარიშო პერიოდში წარმოებულმა საქმეებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პოლიტიკური ატმოსფერო არ არის ინკლუზიური და ქმნის მტრულ გარემოს ქალების მიმართ, ხოლო კაცები იყენებენ სხვადასხვა შესაძლებლობებს იმისათვის, რომ ქალები გამოდევნონ ამ სივრციდან¹⁹;
- ✓ კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განათლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ სოციალური დაცვის სერვისებზე მისაწვდომობა. აღნიშნულს ადასტურებს ერთ-ერთი საქმე, როდესაც PHR-ის მიერ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე წარმოებული საქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიუხედავად, შშმ პირს კვლავ არ მიეწოდება სათანადო მომსახურება;
- ✓ კვლავ გამოწვევად რჩება დასაქმების ადგილზე ქალების დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება, განსაკუთრებით ძალაუფლებისა და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი კაცების მხრიდან, რის გამოვლენასა და რაზე ეფექტიან რეაგირებასაც ხელს უშლის საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა²⁰;
- ✓ გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, საქართველოში კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების სხვადასხვა უფლების დისკრიმინაციულად შეზღუდვის საფუძველი, მათ შორის, მომსახურებისა თუ სერვისის მიღების დროს;
- ✓ კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ისეთი საგანმანათლებლო სისტემის არარსებობა, რომელიც თავისუფალი იქნება ჰომოფობიური და ტრანსფობიური წარმოდგენებისგან და არაკეთილგანწყობილი გარემოსგან. საუნივერსიტეტო სივრცეებში გაბატონებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობა, მათ შორის, სასწავლო ლიტერატურაში ასახული დისკრიმინაციული ტექსტები, აძლიერებს განათლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვას ლგბტ+ თემის წევრებისთვის და ქმნის მტრულ გარემოს, რაც აღნიშნული სივრციდან მათ გარიყვას იწვევს;

19. მაგ., იხ. თბ. საქართველოს პარლამენტის წევრი კაცი დეპუტატების წინააღმდეგ.

20. აღსანიშნავია, რომ 2021-2022 წლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ცხრა სახელმწიფო უწყებამ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმები დაამტკიცა, იხ. <https://bit.ly/3b1B5zA>; <https://bit.ly/3P1dl89>; <https://bit.ly/3NGuB1e>; <https://bit.ly/3NU8ZPr> [03.07.2022].

- ✓ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის კვლავ პრობლემად რჩება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება, რაც, არსებული კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა პირს უკვე ჩატარებული აქვს სქესის კვლავმინიჭების პროცედურა. შედეგად, ტრანსგენდერ პირებს პრობლემები ექმნებათ საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობის, განათლების, დასაქმებისა თუ ჯანდაცვის სერვისების მიღების პროცესში, რაც უარყოფითად აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე;
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების კანონდარღვევით გამოყენებად იქნა მიჩნეული ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუსლიმებისთვის მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე უარის თქმა, აღნიშნული გადაწყვეტილება აღუსრულებელი რჩება, რადგან კვლავ მიმდინარეობს საქმის განხილვა, ამჯერად უზენაეს სასამართლოში;
- ✓ სასამართლოში დისკრიმინაციის დადგენის საკითხი, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამონვევად რჩება. სასამართლოს უჭირს საქმეებში დისკრიმინაციული მოტივის დანახვა. იმ საქმეებზე, რომლებზეც სასამართლომ საანგარიშო პერიოდში მიიღო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, 4 სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა აქედან მხოლოდ ერთ საქმეში დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობა²¹;
- ✓ შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციული საქმეების განხილვისას, არ ხდება მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება და მისი მოპასუხისთვის დაკისრება;
- ✓ გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივ დანაშაულთა დეფინიციები²² კვლავ არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს²³. კერძოდ, არსებული რედაქციით, ქმედების გაუპატიურებად ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებად მიჩნევისათვის, არ არის საკმარისი მსხვერპლის თანხმობის არარსებობა, არამედ აუცილებელია, რომ დამნაშავემ გამოიყენოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა, რაც პრაქტიკაში ვიწროდ და ფორმალისტურად განიმარტება.

21. განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო დისკრიმინაციული მოპყრობა დადგინდა საქმეში დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ.

22. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-141 მუხლები.

23. NGO Shadow Report on the implementation of The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence in Georgia, Sexual Violence, for submission to the GREVIO Committee, October 2021, <https://bit.ly/3qCwbZB> [03.07.2022]; თემატური მოკვლევის ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2022, 33-38, <https://bit.ly/3HZVs7x> [29.06.2022].

თავი II

საანბარში პერიოდში წარმოებული საქმეები

1. დისკრიმინაცია გამოსატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო²⁴

1.1. ლ. რ. ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: ლ. რ. არის კონტროლიორი ქალი, რომელიც დაასაქმა სატრანსპორტო კომპანიამ, ხოლო მისი გათავისუფლება მოხდა ფორმალურად, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მას შემდეგ, რაც იგი ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანდა. შესაბამისად, საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იკვეთება პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი.

ფაქტობრივი გარემოებები: ლ. რ. შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტში” 2011 წლიდან დასაქმებული იყო კონტროლიორის თანამდებობაზე. ლ. რ. სატრანსპორტო კომპანიისათვის იყო პირველი კონტროლიორი ქალი. მუშაობის დაწყებისთანავე, ის დაკისრებულ სამსახურებრივ ვალდებულებებს ეკიდებოდა სრული პასუხისმგებლობით, რის გამოც, ხშირად იმსახურებდა პრემიას. 2020 წლიდან, ლ. რ. არის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი. როდესაც კომპანიის ხელმძღვანელობა შეიცვალა და დირექტორად დაინიშნა არჩილ კონცელიძე, ლ. რ. გააფრთხილეს, რომ დაეტოვებინა პარტია ნაციონალური მოძრაობა და შეეწყვიტა პოლიტიკური აქტიურობა. 2021 წლის 25 იანვარს, როდესაც მოსარჩელისთვის იყო მორიგი სამუშაო დღე, ლ. რ.-ს განუმარტეს, რომ გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან.

საქმის მიმდინარეობა: ლ. რ.-მ სამართლებრივი დახმარებისთვის „უფლებები საქართველოს“ 2021 წლის თებერვალში მიმართა, რის შემდეგაც, ორგანიზაციის დახმარებით, სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

ლ. რ.-მ მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა, შრომითი ურთიერთობის განხორციელებისას პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის და შევიწროების ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება, 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. ამავე პერიოდში, ლ. რ.-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, თუმცა საქმე არ იქნა წარმოებაში მიღებული, რადგან იმავე საკითხზე სარჩელი იყო სასამართლოში წარდგენილი.

2022 წლის 11 მარტს, გაიმართა პირველი სასამართლო სხდომა და მოსამართლემ ადმინისტრაციული კოლეგიიდან საქმე გადაუგზავნა სამოქალაქო კოლეგიას, ვინაიდან მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, თუმცა, არ უმსჯელია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე იყო ადმინისტრაციული ორგანო. ამ ეტაპზე, საქმის განხილვა მიმდინარეობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

სამართლებრივი შეფასება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს მისი პოლიტიკური შეხედულების გამო, რადგან ის იზიარებს ოპოზიციური პარტიის

24. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, იკრძალება დისკრიმინაცია პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი დამატებით მიუთითებს დისკრიმინაციისგან დაცულ ისეთ საფუძველზე, როგორცაა გამოსატვა.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და შეხედულებებს. მისი [მოსარჩელის] პოზიციით, მხოლოდ მაშინ გახდა არასასურველი თანამშრომელი, როდესაც 2020 წელს განვევრიანდა აღნიშნულ პარტიაში.

სასამართლოში მოპასუხე მხარემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ გაუშვა სამსახურიდან მოსარჩელე თითქოსდა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, მაშინ, როდესაც იგი შრომითი ურთერთობებიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა უვადო კონტრაქტის გაფორმების წინაპირობებს. ასევე, მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ახდენდა ლ. ჩ.-ს დისკრედიტაციას მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

1.2. გ. ბ. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: კვლავ შეინიშნება არჩევნების დასრულების შემდგომ, განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება. შესაბამისად, აღნიშნული საქმის წარმატებით დასრულება, ხელს შეუწყობს სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შრომითი ურთიერთობისას სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ პირთა სხვა საქმეებზე.

ფაქტობრივი გარემოებები: გ. ბ. 2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე ა(ა)იპ აგროსერვისში დასაქმდა. 2020 წ. 30 დეკემბერს, ამავე ცენტრის დირექტორმა გ. ბ.-ს მოსთხოვა, დაენერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. როდესაც გ. ბ. დაინტერესდა აღნიშნულის მიზეზით, მას არაერთმა თანამდებობის პირმა განუმარტა, რომ ვინიდან ის არ იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში და მხარს მკაფიოდ და ნათლად არ უჭერდა პარტია “ქართულ ოცნებას”, უნდა წასულიყო სამსახურიდან.

2020 წლის 31 დეკემბერს, მოსარჩელეს მეილზე გაუგზავნეს ინფორმაცია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

საქმის მიმდინარეობა: „უფლებები საქართველოს“ დახმარებით, გ. ბ.-მ 2021 წლის 18 თებერვალს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოთხოვნებით: 1. სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა; 2. სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე განაცდურის ანაზღაურება; 3. შრომითი ურთიერთობის განხორციელებისას, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტის დადგენა; 4. მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე, კვლავ გრძელდება საქმის განხილვა სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა პოლიტიკური ნიშნით, ვინაიდან, როგორც მას უთხრეს, იგი არ იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში და მხარს მკაფიოდ და ნათლად არ უჭერდა პარტია “ქართულ ოცნებას”.

1.3. მ. გ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება პირის სამსახურიდან გათავისუფლებას სავარაუდო პოლიტიკური დისკრიმინაციის მოტივით, რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდეს პრევენციული ეფექტი სხვა საჯარო დაწესებულებებისთვის.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019 წელს, მ. გ. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმდა. 2020 წლის პირველ დეკემბერს, საკრებულოში დაიწყო რეორგანიზაცია. რეორგანიზაციას მოჰყვა ერთ-ერთი განყოფილების გაუქმება, რაც გახდა მ. გ.-ის სამსახურიდან დათხოვნის საბაბი.

აღსანიშნავია, რომ მ. გ. იყო წარმატებული საჯარო მოხელე, რომელიც მონაწილეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გენდერული საჭიროებების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვაში. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქალთა უფლებების გაძლიერებაში.

საქმის მიმდინარეობა: მ. გ.-მ „უფლებები საქართველოს“ დახმარებით, 2021 წლის 24 თებერვალს, სარჩელი წარადგინა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში, სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლებისა და 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2021 წლის სექტემბერში დავა დასრულდა მორიგებით. მარნეულის საკრებულომ ზიანის ანაზღაურების მიზნით მოსარჩელეს გადაუხადა 5600 ლარი.

სამართლებრივი შეფასება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სწორედ მისი აქტიურობისა და კრიტიკული შეხედულებების გამო გახდა არასასურველი თანამშრომელი, რომელიც, აგრეთვე, არ იზიარებდა მუნიციპალიტეტში არსებულ პოლიტიკურ ნარატივს. მ. გ.-ის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა საკრებულოში ჩატარებული რეორგანიზაციის გზით, თუმცა, მოსარჩელე თვლის, რომ რეორგანიზაცია მიზნად არ ისახავდა რეალურ ცვლილებებს. კერძოდ, რეორგანიზაციისას, რომელიც თითქოსდა განხორციელდა პანდემიის პერიოდში კადრების ოპტიმიზაციისა და ხარჯების დაზოგვის მოტივით, სინამდვილეში, აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, დაახლოებით ორჯერ მეტი თანამშრომელი აიყვანეს საკრებულოს აპარატში, ვიდრე მანამდე იყო.

1.4. ი. ჯ. ბათუმის ბულვარის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნულ საქმეში იკვეთება სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი შრომითი ურთიერთობების დროს, რომლის დადგენა პრიორიტეტულია შრომითი გარემოს გაჯანსაღებისათვის. აღნიშნული საქმის წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ვითარებაში, როდესაც საჯარო დაწესებულება არის სავარაუდო დისკრიმინაციის განმახორციელებელი სუბიექტი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაცია, აღნიშნული ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, დასაქმებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ფაქტობრივი გარემოებები: სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორი, ი. ჯ., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 12 აპრილის განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მის გათავისუფლებას წინ უძღოდა, 2021 წლის 30 მარტს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, სადაც განიხილებოდა 4500 კვ/მ ფართობი პლაჟის ბრენდირებული სასტუმროებისთვის მრავალწლიანი იჯარით გადაცემის ინიციატივა. ხსენებულ სხდომაზე, საკრებულოს წევრებს ი. ჯ.-მ გაუზიარა თავისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ამ წინადადების მიმართ, ვინაიდან მისი განხორციელების შემთხვევაში, იჯარით გასხვისებული პლაჟები აღარ იქნებოდა ხელმისაწვდომი არც ადგილობრივი მოსახლეო-

ბისტვის და არც დამსვენებლებისთვის, რითიც დაზიანდებოდა საჯარო ინტერესი. ჯერ კიდევ სხდომის დასრულებამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ გააძევა ი. ჯ. სხდომის დარბაზიდან, რაც მკაფიო დასტურია იმისა, რომ მისთვის და საკრებულოს სხვა წევრებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ი. ჯ.-ს განსხვავებული პოზიცია. საკრებულოს სხდომის გამართვიდან თორმეტი დღის შემდეგ კი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ იგი საერთოდ გაათავისუფლა სამსახურიდან.

გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 12 აპრილის წერილი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის 4 ნოემბრის ფინანსური აუდიტის ანგარიში. თუმცა, აუდიტის დასკვნაში მითითებული თითოეული დარღვევა არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებული არ შეიძლებოდა, გამხდარიყო ი. ჯ.-ის სამსახურიდან გათავისუფლების ლეგიტიმური საფუძველი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ დარღვევების უმრავლესობა იყო არაარსებითი ხასიათის, რომელთა ნაწილი ჩადენილი იყო ჯერ კიდევ მის დირექტორობამდე პერიოდში. მიუხედავად აღნიშნულისა, ყველა მათგანზე მოხდა ოპერატიული რეაგირება. ამასთან, არც ერთ დარღვევას ბულვარისთვის და ზოგადად საჯარო ინტერესებისთვის და ბიუჯეტისთვის არ მოუტანია ფინანსური ზიანი.

საქმის მიმდინარეობა: 2021 წლის 13 მაისს, ი. ჯ.-მ, საიას დახმარებით, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა. სარჩელთან ერთად, სასამართლოს წარედგინა შუამდგომლობა, რომ დროებითი განჩინების მიღების გზით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერებულიყო სსიპ “ბათუმის ბულვარის” დირექტორის თანამდებობაზე გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარება და ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნა. აღნიშნული დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საჩივარი დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო ძირითად სარჩელთან დაკავშირებით დანიშნულია მოსამზადებელი სხდომა.

სამართლებრივი შეფასება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია. განსახილველ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არ იყო უფლებამოსილი, შეჭრილიყო საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სფეროში და ი. ჯ. საკრებულოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის გამო გაეთავისუფლებინა სამსახურიდან.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი გათავისუფლებისას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჩაუტარებია სრულფასოვანი ადმინისტრაციული წარმოება, არ მისცემია საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, ხოლო გათავისუფლების ამბავი შეიტყო მხოლოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. აგრეთვე, სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მითითებული ხარვეზები მოპასუხისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2019 წლის 10 ოქტომბრისთვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, ი. ჯ. არ გათავისუფლებულა სამსახურიდან და არც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დაკისრებია მოვალეო-

ბების არაჯეროვანი შესრულებისთვის. როდესაც საკრებულოს სხდომაზე დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია, მხოლოდ ამის შემდეგ დადგა დღის წესრიგში მისი გათავისუფლების საკითხი. ასევე, საკრებულოს სხდომის შემდგომ, მედიაში გავრცელდა საკრებულოს თავმჯდომარის კომენტარი, სადაც ის ამბობს, რომ ი. ჯ.-ს აუცილებლად გაათავისუფლებდა სამსახურიდან.

ხსენებული გარემოებები აფიქრებინებს მოსარჩელეს, რომ მისი გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული მოტივით, საკრებულოს სხდომაზე განსხვავებული და უმრავლესობისთვის მიუღებელი პოზიციის დაფიქსირების გამო.

1.5. კურიერები Bolt Food-ის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება შრომით ურთიერთობებში დასაქმებულთა უფლებების დაცვას. ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას განსხვავებული მოსაზრების გამო, ხოლო აღნიშნული საქმის წარმოების შედეგად, შესაძლებელი გახდა რამდენიმე ათეული დასაქმებულის შრომით უფლებების აღდგენა.

ფაქტობრივი გარემოებები: 2021 წლის 16 მარტს, ტელეგრამის მეშვეობით, Bolt Food-ის კურიერებმა მიიღეს შეტყობინებები ტარიფის 5 ლარიდან 4 ლარამდე, 20%-ით შემცირებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ტარიფის შეცვლა მოხდა მათთვის მოულოდნელად და ამით გაუარესდა პირობები, გადაწყვიტეს მისი გაპროტესტება. მომდევნო დღეს, 2021 წლის 17 მარტს, მიმართეს Bolt Food-ის ადგილობრივ წარმომადგენლებს, რომელთა განმარტებით, ნებისმიერ საკითხზე მითითებას იღებდნენ ესტონეთის ცენტრალური წარმომადგენლობისგან და საქმიანობის პირობებს ისინი განსაზღვრავდნენ. ამის შემდგომ, კურიერებმა დაიწყეს თვითორგანიზება და პროტესტის მასშტაბების გაფართოება. ამისათვის, გადაწყვიტეს, არ ჩაერთოთ აპლიკაცია და ამ გზით უარი ეთქვათ შეკვეთების მიღებასა და შესრულებაზე. 2021 წლის 23 მარტს, კურიერების ნაწილმა მოლაპარაკების მიზნით მიმართა Bolt Food-ის ადგილობრივ წარმომადგენლებს, თუმცა უშედეგოდ. პროტესტის საპასუხოდ, Bolt Food-მა დაახლოებით 25 კურიერს აპლიკაციაზე წვდომა შეუზღუდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კურიერებმა 24 მარტს მისწერეს ე. წ. support ჯგუფს და ითხოვეს პროგრამაზე წვდომის აკრძალვის მიზეზისა და ვადის განმარტება, რასთან დაკავშირებითაც, მომდევნო დღეს, 25 მარტს, მიიღეს შემდეგი პასუხი: „სამწუხაროდ, თქვენი მონაწილეობის ფაქტები დაფიქსირდა იმ ჯგუფთან, რომლის მხრიდანაც ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ აქტივობებს, რომელმაც ხელი შეუშალა ჩვენი სერვისის და პარტნიორი კურიერების სამუშაო პროცესს. ამ მიზეზით, მოხდა აპლიკაციასთან წვდომის შეზღუდვა უვადოდ“. 2021 წლის 24 მარტს, Bolt Food-მა ოფიციალური Facebook გვერდის მეშვეობით გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „პარტნიორი კურიერები დასაქმებულნი არ არიან შრომითი ხელშეკრულებით; პარტნიორი კურიერები მუშაობენ საპარტნიორო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც, ისინი ემსახურებიან მომხმარებლებს Bolt Food-ის მიერ დაწესებული პირობებით; პარტნიორ კურიერებს თავად შეუძლიათ, აირჩიონ, როდის სურთ, ან სურთ თუ არა, იმუშაონ Bolt Food-ის პლატფორმაზე; ცვლილებები პარტნიორი კურიერების ანაზღაურების სისტემაზე რეგულირდება საპარტნიორო ხელშეკრულებით; ამასთან ერთად, იგივე ჯგუფის მხრიდან, ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ აქტივობებს, რომლებმაც ხელი შეუშალა ჩვენი სერვისის და სხვა პარტნიორი კურიერების სამუშაო პროცესს. პასუხად, მათი ანგარიშები დაბლოკილ იქნა პლატფორმიდან. ნებისმიერი სახის ორგა-

ნიზებულ მცდელობას, რომელმაც, შესაძლოა, შეაფერხოს Bolt Food-ის, ან პარტნიორი რესტორნების ბიზნეს ოპერაციები, აუცილებლად მოჰყვება მკაცრი რეაგირება კომპანიის მხრიდან“.

საქმის მიმდინარეობა: რამდენიმე კურიერმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) დახმარებით განცხადებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და მოითხოვა მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მისი აღმოფხვრა (აპლიკაციებზე დაბლოკვის მოხსნა).

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ განმცხადებელთა უფლებაში ჩარევის საფუძველს წარმოადგენდა მათი განსხვავებული მოსაზრებები და მათი პროტესტი, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის, მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გააქარწყლებდა. შესაბამისად, „ფუდლს“ (Bold Food) მიმართა შემდეგი რეკომენდაციებით:

- დაუყოვნებლივ აღუდგეთ განმცხადებლებს „Bold Food“ აპლიკაციაზე წვდომა;
- რეკომენდაციით დადგენილი სტანდარტი გავრცელდეს ყველა იმ კურიერის მიმართ, რომელსაც, პროტესტის გამოხატვის გამო, ასევე შეუჩერდა აპლიკაციაზე წვდომა, სურს წვდომის აღდგენა, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველისთვის არ მოუმართავს;
- მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

სამართლებრივი შეფასება: თანასწორობის უფლების დაცვა გარანტირებულია როგორც ადგილობრივი კანონმდებლობით, აგრეთვე - საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას „დასაქმების ადგილის“ მიუხედავად, მაგრამ ეს თავისთავად გამომდინარეობს ამ ნორმის არსიდან და მისი მიზნებიდან. მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში.

მოცემულ საქმეში, სახალხო დამცველმა გამოიყენა ჰიპოთეტური კომპარატორი, რომელიც განისაზღვრება თანაბარი მოპყრობის სტანდარტის საფუძველზე და იმსჯელა, იმ შემთხვევაში, განმცხადებლებს ან თეორიულად, მათ ადგილას მყოფ სხვა პირს/პირებს, რომ არ გამოეხატათ განსხვავებული მოსაზრებები, შეეზღუდებოდათ თუ არა აპლიკაციაზე წვდომა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია²⁵.

მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მხრიდან დასაქმებულების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის საფუძველი გახდა მათ მიერ გამოხატვისა და შეკრების უფლებების განხორციელება. სწორედ შეკრებისა და გამოხატვის უფლებით სარგებლობისას გამოხატული პროტესტი და კომპანიის პოლიტიკის მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები დაედო საფუძვლად აპლიკაციის დაბლოკვას. ამდენად, კომპანიამ განსხვავებული და დისკრიმინაციული მიდგომა გამოიყენა იმ კურიერების მიმართ, რომლებმაც ამგვარი მოქმედებები განახორციელეს.

სახალხო დამცველის შეფასებით, საჯარო გამოხატვის გზით შრომითი პირობების გაუარესების გაპროტესტება არ შეიძლება, წარმოადგენდეს განსხვავებული მოპყრობის გამართლებელ ლეგიტიმურ მიზანს.

განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ თავად Bolt Food ფაქტობრივად აღიარებს მისი მხრიდან კონკრეტულ კურიერთა მიმართ განსხვავებულ მიდგომას (აპლიკაციაზე წვდომის უვადო შეზღუდვა), იმის გამო, რომ მათ პროტესტი გამოთქვეს ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა და დროის პერიოდი მას არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ განმცხადებლებისათვის უვადოდ აპლიკაციაზე წვდომის შეზღუდვა განპირობებული იყო მათ მიერ გამოხატული განსხვავებული მოსაზრებების და საჯარო პროტესტის გამო. შესაბამისად, სახალხო დამცველმა დაასკვნა, რომ Bolt Food-ისმე მხრიდან განმცხადებელთა მიმართ ადგილი ჰქონდა შრომის უფლებაში ჩარევას, განსხვავებული მოსაზრებების და საჯაროდ პროტესტის გამოხატვის გამო²⁶.

1.6. გიორგი მურთაზაშვილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება სოციალურ ქსელში გამოხატული მოსაზრების გამო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან თანამშრომლის გათავისუფლებას.

ფაქტობრივი გარემოებები: გ. მურთაზაშვილს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობის 20-წლიანი სტაჟი აქვს. მას აქვს პოლკოვნიკის

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №23/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §15.

26. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, <https://bit.ly/3HXapr0> [26.06.2022].

წოდება. 2020 წლის 19 თებერვალს, ნინო გიორგობიანის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, ვახტანგ გომელაურის უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნის თაობაზე, გ. მურთაზაშვილის მიერ გაკეთდა წერილობითი კომენტარი: „ანი რალა გვიჭირს“. 2020 წლის 21 თებერვალს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სამმართველოს უფროსმა და მისმა მოადგილემ დაიბარეს გ. მურთაზაშვილი და უთხრეს, რომ მას საჭარო პოსტთან დაკავშირებით უნდა დაეწერა პატაკი და პირადი განცხადებით წასულიყო სამსახურიდან. აღნიშნულ საკითხზე, გ. მურთაზაშვილი ესაუბრა დეპარტამენტის დირექტორს, მაგრამ მან უთხრა, რომ ვერაფერით დაეხმარებოდა, რადგან ზემოდან გადაწყდა ყველაფერი და გ. მურთაზაშვილს „ენა უნდა გაეჩერებინა“. 2020 წლის 25 თებერვალს, გ. მურთაზაშვილისთვის ცნობილი გახდა, რომ ხელი მოეწერა ბრძანებას მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის თაობაზე.

საქმის მიმდინარეობა: „უფლებები საქართველოს“ მხარდაჭერით, გამოთხოვილ იქნა გ. მურთაზაშვილის კადრებში გადაყვანის და გათავისუფლების ბრძანება და დაუყოვნებლივ იქნა გასაჩივრებული თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 29 ივნისს. სამართალწარმოების პროცესში, მოსარჩელის მოთხოვნებს წარმოადგენდა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაკავებული თანამდებობიდან, კადრების განყოფილებაში გადაყვანის, თანამდებობიდან განთავისუფლების ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება სრულად, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან, სამსახურში აღდგენის დღემდე; ასევე, განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა; მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის დაკისრება.

2021 წლის 5 ოქტომბრს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გ. მურთაზაშვილის განთავისუფლება უკანონოდ მიიჩნია. სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტი არ დაადგინა, თუმცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაავალა გ. მურთაზაშვილის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის დაკისრება, მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სააპელაციო სასამართლოში. შესაბამისად, ამჟამად საქმის განხილვა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გ. მურთაზაშვილის უკანონოდ და დისკრიმინაციული მოტივით გათავისუფლება დასაბუთებულია საერთაშორისო ნორმებითა და ეროვნული კანონმდებლობით, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებით, კერძოდ, შრომის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლით.

1.7. დავით ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაციის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემდეგ სასამართლოსთვის მიმართვას, რამაც ხელი შეუწყო განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენას.

ფაქტობრივი გარემოებები: 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის გამგის მიერ, დავით ნიჟარაძე მიწვეული იყო სასწავლო კურსის - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ წასაკითხად, რომლის სილაბუსის ერთ-ერთი ავტორიც თავად გახლავთ. კათედრის გამგის სახელით, დ. ნიჟარაძეს ოფიციალურად გაეგზავნა სემესტრული დატვირთვა და განრიგი, თუმცა, მოგვიანებით, დეკანის, გიორგი ლალანიძის, დაჟინებული მოთხოვნით, დატვირთვა სხვას გადაეცა. დ. ნიჟარაძე დაინტერესდა მიზეზით და მოითხოვა კათედრის გამგისგან, გადმოეცა ამ საკითხთან დაკავშირებული კომუნიკაცია, სადაც დეკანი, გიორგი ლალანიძე მიუთითებს: “როგორც დეკანი, მიზანშეწონილად არ მივიჩნევ მოქ. დ. ნიჟარაძის მოწვევას, მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო“. გარდა ამისა, დეკანი მიმონერაში აღნიშნავს, რომ “აღნიშნული მოსაზრებები (იგულისხმება დ. ნიჟარაძის მიერ გამოთქმული კრიტიკული პოზიციები) აბსოლუტურად მიუღებელია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისათვის”. მიუხედავად მომწვევი კათედრის გამგის დამატებითი არგუმენტაციისა, დეკანატის წარმომადგენელმა მისწერა კათედრის გამგეს, რომ „დეკანს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დ. ნიჟარაძის მოწვევა“ და მოითხოვა მისი დატვირთვის სხვა პედაგოგებზე გადანაწილება. აღსანიშნავია ისიც, რომ დ. ნიჟარაძემ სხვა კოლეგებთან ერთად წერილობით მიმართა თსუ-ის რექტორს, გიორგი შარვაშიძეს, რათა მას დაეფიქსირებინა პოზიცია და უფლებამოსილების ფარგლებში შეეჩერებინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, გიორგის ლალანიძის მხრიდან კოლეგების ცალსახა სამსახურეობრივი დევნის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტი. თუმცა, რექტორს ამ საკითხზე რეაგირება არ ჰქონია.

საქმის მიმდინარეობა: დავით ნიჟარაძემ, „უფლებები საქართველოს“ მხარდაჭერით, 2019 წლის 18 სექტემბერს, მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციით, დადგინდა, რომ დავით ნიჟარაძის მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას, განსხვავებული მოსაზრების გამო. 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სახალხო დამცველმა მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აღნიშნულ კორესპონდენციაზე საპასუხოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა კათედრის ხელმძღვანელების მიერ ფაკულტეტის დეკანთან დავით ნიჟარაძის კანდიდატურის წარდგენა, განიხილებოდა მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელმა დავით ნიჟარაძის კანდიდატურა კიდევ ერთხელ წარადგინა, დ. ნიჟარაძესთან მაინც არ გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, აღნიშნული კი, შეიძლება შეფასდეს, როგორც სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციის შეუსრულებლობა. შესაბამისად, დ. ნიჟარაძის ინტერესების დასაცავად, „უფლებები საქართველომ“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისს და მოითხოვა განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, ასევე, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

2021 წლის 19 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა. კერძოდ, დაადგინა 2019-2020 წლის საშემოდგომო სემესტრში დავით ნიჟარაძის მიმართ განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო დისკრიმინაციულად მოპყრობის ფაქტი და ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაავალა დავით ნიჟარაძის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 3375 ლარის გადახდა, ასევე, მორალური ზიანის სახით 1000 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში, დ. ნიჟარაძეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ სემესტრულად დაყო დისკრიმინაციის განხორციელების საკითხი, რადგან სახალხო დამცველის რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ერთ სემესტრს, თუმცა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შემდგომ სემესტრშიც გაგრძელდა უნივერსიტეტის დამოკიდებულება დ. ნიჟარაძესთან მიმართებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით, როგორც ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან, ასევე - დ. ნიჟარაძის მიერ, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ნაწილში. ამ ეტაპზე, საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2021 წლის 19 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების შემდგომ, დ. ნიჟარაძე ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიწვია სასწავლო კურსის წასაკითხად.

სამართლებრივი შეფასება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში, 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით, დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; ასევე, დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს არჩევის, სამუშაოს ხელმისაწვდომობის და მისი განხორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელზეც, განსახილველ შემთხვევაში, უარი ეთქვა განმცხადებელს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, დაცული აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომელიც მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის თუ შოკისმომგვრელია ცალკეული ადამიანებისთვის, შეიძლება, იწვევდეს წყენას, აღშფოთებასა და ვნებათაღელვას საზოგადოებაში; ამასთან, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შეიძლება, არამედ, ასევე, ის მოსაზრება, კრიტიკა, რომელიც შეიძლება „ჭეშმარიტების დადგენის“ საშუალებას არ იძლეოდეს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, რომელიც მოიცავს სხვა შეხედულებას, როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად. დ. ნიჟარაძემ გააკეთა არაერთი საჯარო განცხადება, რომელიც შეეხებოდა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას. ამდენად, მის მიერ გავრცელებული მოსაზრებები ხვდება დაცულ ნიშანში - „სხვა შეხედულებები“.

1.8. თეა კასრაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან საკითხი ეხება სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაციის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციის შეუსრულებლობას, რის გამოც მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს.

ფაქტობრივი გარემოებები: თეა კასრაძე 2006 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე. 2006-2009 წლებში, მას ეკავა ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა, 2009 წლიდან მოყოლებული კი უწყვეტად იყო მონვეული ლექტორი. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, თეა კასრაძე მიწვეული იყო სასწავლო კურსის წასაკითხად, თუმცა, მოგვიანებით დეკანის, გიორგი ლაღანიძის, დაჟინებული მოთხოვნით, დატვირთვა სხვას გადაეცა. თეა კასრაძე დაინტერესდა მიზეზით და მოითხოვა კათედრის გამგისგან, გადმოეცა ამ საკითხთან დაკავშირებული კომუნიკაცია, სადაც დეკანი, გიორგი ლაღანიძე წერს: “როგორც დეკანი, მიზანშეწონილად არ მივიჩნევ მოქ. თ. კასრაძის მონვევას, მის მიერ გაკეთებული საჭარო განცხადებების გამო”. გარდა ამისა, დეკანი მიმოწერაში აღნიშნავს, რომ “აღნიშნული მოსაზრებები (იგულისხმება თ. კასრაძის მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები) აბსოლუტურად მიუღებელია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისათვის”.

მომწვევი კათედრის გამგის დამატებითი არგუმენტაციის მიუხედავად, დეკანატის წარმომადგენელმა მისწერა კათედრის გამგეს, რომ „დეკანს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თ. კასრაძის მონვევა“ და მოითხოვა მისი დატვირთვის სხვა პედაგოგებზე გადანაწილება. აღსანიშნავია ისიც, რომ თ. კასრაძემ სხვა კოლეგებთან ერთად წერილობით მიმართა თსუ-ის რექტორს, გიორგი შარვაშიძეს, რათა უფლებამოსილების ფარგლებში შეეჩერებინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, გიორგის ლაღანიძის მხრიდან კოლეგების ცალსახა სამსახურობრივი დევნის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტი. თუმცა, რექტორს ამაზე რეაგირება არ ჰქონია.

საქმის მიმდინარეობა: თეა კასრაძემ, „უფლებები საქართველოს“ დახმარებით, 2019 წლის 18 სექტემბერს მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის 27 თებერვალს მიღებული რეკომენდაციით დადგინდა, რომ თეა კასრაძის მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას, განსხვავებული მოსაზრების გამო. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სახალხო დამცველმა მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2020 წლის 27 თებერვალს. აღნიშნულ კორესპონდენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა კათედრის ხელმძღვანელების მიერ ფაკულტეტის დეკანთან თეა კასრაძის კანდიდატურის წარდგენა, განიხილებოდა მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელმა თეა კასრაძის კანდიდატურა კიდევ ერთხელ წარადგინა,

თეა კასრაძესთან მაინც არ გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, აღნიშნული კი შეიძლება შეფასდეს, როგორც სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაციის შეუსრულებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, “უფლებები საქართველომ” 2020 წლის 2 ივლისს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, ასევე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. 2021 წლის 16 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. სასამართლოს აზრით, საათების განაწილებაზე უარი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ლექტორების მოწვევა იმ პერიოდში საჭიროებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. შესაბამისად, ამ ეტაპზე, საქმის განხილვა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; ასევე, დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს არჩევის, სამუშაოს ხელმისაწვდომობის და მისი განხორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელზეც, განსახილველ შემთხვევაში, უარი ეთქვა განმცხადებელს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, დაცული აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომელიც მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის თუ შოკისმომგვრელია ცალკეული ადამიანებისთვის, შეიძლება ინვესტირდეს წყენას, აღშფოთებას და ვნებათაღელვას საზოგადოებაში; ამასთან, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შეიძლება, არამედ - ასევე ის მოსაზრება, კრიტიკა, რომელიც შეიძლება, „ჭეშმარიტების დადგენის“ საშუალებას არ იძლეოდეს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, მათ შორის - სხვა შეხედულებას, როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად. თეა კასრაძემ გააკეთა არაერთი საჯარო განცხადება, რომელიც შეეხებოდა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას. ამდენად, მის მიერ გავრცელებული მოსაზრებები ხვდება დაცულ ნიშანში - „სხვა შეხედულებები“.

2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია²⁷

2.1. შ. უ. მარნეულის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება სავარაუდო რელიგიური შეხედულებების გამო საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, რომელიც განხორციელდა რეორგანიზაციის სახელით.

ფაქტობრივი გარემოებები: შ. უ. 2019 წლიდან დასაქმებული იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი დეკემბრის ბრძანებით, საკრებულოს აპარატში დაიწყო რეორგანიზაცია. ამავე საკრებულოს 2020 წლის 31 დეკემბრის წერილით, შ. უ.-სთვის ცნობილი გახდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება და გაუქმდა ერთ-ერთი განყოფილება, რასაც მოჰყვა მისი სამსახურიდან დათხოვნა. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის ბრძანებით, შ. უ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

შ. უ.-ს მიაჩნია, რომ აღნიშნული ბრძანება მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის გამოცემამდე არ გამოუკვლევია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ - უზრუნველყოფდა თუ არა რეორგანიზაცია კანონით განსაზღვრულ სავალდებულო შემადგენლობას - სისტემურ, ეფექტიან მმართველობას, ან არსებობდა თუ არა რეორგანიზაციის აუცილებლობა, საჯარო ინტერესი. ნაცვლად ამისა, აქტი გამოიცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საკანონმდებლო დანაწესებზე ზოგადი, ფორმალური მითითებით. შესაბამისად, ცალსახაა, რომ გასაჩივრებული აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილების იმპერატიული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რის გამოც, სახეზეა მათი ბათილად გამოცხადების აბსოლუტური საფუძვლები.

საქმის მიმდინარეობა: შ. უ.-მ სამართლებრივი დახმარების მიზნით მიმართა ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“, რომელმაც, საქმის შესწავლის მიზნით, 2021 წლის 19 თებერვალს მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, ხოლო ამავე წლის 24 თებერვალს, სარჩელი წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის აგვისტოში, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა უკანონოდ, ხოლო რეორგანიზაცია ჩატარდა კანონის მოთხოვნების დაუცველად. რაც შეეხება სასამართლო დავას, კვლავ მიმდინარეობს საქმის განხილვა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ პრინციპს, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით.

27. კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით, რელიგია პირდაპირ გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

დისკრიმინაციის აკრძალვის მიზანია, საშუალება მიეცეთ ინდივიდებს, რომ თანაბრად და თანასწორად მიუწვდებოდეთ ხელი საზოგადოებაში არსებულ შესაძლებლობებზე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ, მოხელის სახით, ვინმეს მიმართ განახორციელა განსხვავებული მოპყრობა, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. ხოლო, იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

რეორგანიზაციის შედეგად დანესებულებაში შტატების შემცირების მოტივით სამსახურიდან გათავისუფლება სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, ადასტურებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩლის მიმართ დისკრიმინაციას. კერძოდ, განმცხადებელს მიაჩნია, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, რეალურად, მოხდა დისკრიმინაციული მოტივებით, კერძოდ, იმ ფაქტის გამო, რომ ის მეგობრობს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსთან, მეუფე გიორგისთან, რომლის მიმართაც მარნეულის საკრებულოს ხელმძღვანელობას პირადი ინტერესები ამოძრავებს. კერძოდ, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი ნარიმანოვის ძეგლის საკითხზე კრიტიკულ შეფასებებს აკეთებდა და საკრებულოსაგან ძეგლის აღებას ითხოვდა. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი ნარიმანოვის ძეგლის საკითხზე მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარეს კანონდარღვევაში ადანაშაულებდა. ეპისკოპოსის განცხადებით, საკრებულოს გადაეცა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ყარაიას და გარეჯის საძოვრების აზერბაიჯანზე მიკუთვნების დოკუმენტებში ნარიმან ნარიმანოვის ხელმოწერაა. მოსარჩელე იმყოფებოდა იმ პარაკლისზე, სადაც ეპისკოპოსი ამ პოზიციას აჟღერებდა. სწორედ ამ პარაკლისზე დასწრების შემდგომ დაიწყო მის მიმართ რეპრესიული მექანიზმების გამოყენება. კერძოდ, თავდაპირველად სრულიად უკანონოდ ჩამოაშორეს საკონკურსო კომისიას, საბოლოოდ კი რეორგანიზაციის მსხვერპლიც გახდა.

2.2. ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე ეხება ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუსლიმი თემისთვის რელიგიის თავისუფლების რეალიზებისთვის. არასაკმარისი სალოცავი სივრცის გამო, ბათუმელ მუსლიმ მლოცველებს უკვე დიდი ხანია, არასათანადო პირობებში უწევთ ლოცვა.

ფაქტობრივი გარემოებები: ხელისუფლების მხრიდან უშედეგო დაპირებების შემდგომ, 2016 წელს, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა 12 000-ზე მეტი მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა. მათ მეჩეთისათვის მიწის გამოყოფის თხოვნით მთავრობას მიმართეს. ხელისუფლებამ მუსლიმი მოსახლეობის საკითხის გადაჭრისთვის არ გამოხატა რაიმე მზაობა თუ ინტერესი. „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“ იძულებული გახდა საკუთარი სახსრებით შეესყიდა მიწის ნაკვეთი, მასზე მეჩეთის მშენებლობის მიზნით.

მინის ნაკვეთის შექმნის შემდგომ, ფონდმა მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. თუმცა, 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმებს უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე. პირველი სტადია მოიცავდა მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. ამ უარყოფით გადაწყვეტილებას კი საფუძვლად დაედო ისეთი ფორმალური გარემოებები, როგორებიცაა: საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზანშეუწონლობა; საკულტო ნაგებობისათვის განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის საჭიროება. უარის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული გადაწყვეტილება ფონდმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 10 ივნისს, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა, მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა. მუსლიმი თემის ინტერესებს სასამართლოში ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)) იცავენ. სარჩელის ძირითად მოთხოვნას მუსლიმი თემის მიერ შექმნილ მინის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული უარყოფითი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ სასამართლოს მიერ მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების დავალება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა წარმოადგენდა.

2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით და ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სასამართლომ ახალი აქტის გამოცემისათვის საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა მოპასუხე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

2019 წლის 4 დეკემბერს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად გაუქმებას, ხოლო ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას მოითხოვდა, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქმე და სასამართლომ პირდაპირ არ დაავალა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილება.

2021 წლის 13 აპრილს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. არც ერთი მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის ივლისში, ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2021 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივრები მიიღო წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. საანგარიშო პერიოდში, საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში არ დასრულებულა.

სამართლებრივი შეფასება: ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის არგუმენტები დისკრიმინაციის მტკიცებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ბათუმის მერიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მიიჩნია დისკრეციული უფლებამოსილების კანონდარდვევით გამოყენება – ბათუმის მერიამ არ გაითვალისწინა მუსლიმი მრევლის მაღალი სოციალური ინტერესი და ამ მნიშვნელოვანი ინტერესის უგულებელყოფით, პრიორიტეტი მიანიჭა აბსტრაქტულ საჯარო ინტერესს (შესაბამისი ზონის საცხოვრებელი მიზნით განაშენიანება). სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს არ დაუსაბუთებია, რატომ მიანიჭა კონკრეტული კვარტლის ექსკლუზიურად საცხოვრებელი სახლების დანიშნულებით განვითარების ინტერესს პრიორიტეტი, მოსარჩელეთა რელიგიის თავისუფლების, საკუთრების უფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებებთან მიმართებით, როდესაც მოთხოვნა ემყარებოდა იმ მოცემულობას, რომ ააიპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ მტკიცებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთი მეჩეთის (ორთა ჭამე) არსებობის პირობებში, მუსლიმი თემისთვის არასაკმარისი იყო სალოცავი სივრცე. ამის გამო, ისინი წლების განმავლობაში იძულებულნი არიან, ღია ცის ქვეშ ილოცონ და ხელი ეშლებათ რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილ სარგებლობაში“. დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების გადამწყვეტი ფაქტობრივი საფუძველი შექმნა იმ გარემოებამ, რომ იმ ზონაში, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მეჩეთის მშენებლობის ნებართვას, მხოლოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე რაიონში, საცხოვრებელი სახლებით მჭიდროდ განაშენიანებულ კვარტლებში შვიდი მართლმადიდებლური ეკლესიაა განთავსებული, მათგან სამი – ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ უფლების შეზღუდვის დროს, რელიგიურ გაერთიანებათა დიფერენციაცია, როცა მუსლიმ თემს უფლება ეზღუდება, ხოლო მართლმადიდებელ ეკლესიას – არა, შეუძლებელია, გამართლდეს რაიმე სახის ლეგიტიმური მიზნით, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის გახდა მოპასუხის მხრიდან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელების დადგენის საფუძველი.

3. გენდერის/სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე

3.1. თ. კ. კერძო კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეხება კერძო კომპანიის დირექტორის მიერ დასაქმებული ქალის მიმართ ვერბალური და არავერბალური ფორმით სავარაუდოდ განხორციელებულ სექსუალური შევიწროების ფაქტს, რამაც დასაქმებულს შეუქმნა მტრული და ღირსების შემლახველი გარემო.

ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი ქალი დასაქმებული იყო ერთ-ერთ კერძო

28. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ კრძალავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ეს ნიშანი, ასევე, გათვალისწინებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, რომელშიც ცალკეა გამოყოფილი სექსუალური შევიწროება (მუხლი 2). შევიწროებას, მათ შორის, სექსუალურს, დისკრიმინაციის ფორმად განსაზღვრავს შრომის კოდექსიც (მუხლები 5 და 6).

კომპანიაში. აღნიშნული კომპანიის დირექტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქალის მიმართ, კერძოდ ეპატიჟებოდა ბუნებაში სასეირნოდ, ცდილობდა მასთან მართო დარჩენას, თუმცა ქალისგან ყოველთვის უარს იღებდა.

მსხვერპლი იხსენებს ორ შემთხვევას, როდესაც კომპანიის დირექტორმა წაიყვანა განმცხადებელი თითქოსდა საქმიანი შეხვედრისათვის. მას შემდეგ, ქალი ყოველთვის უარს ეუბნებოდა ურთიერთობაზე, რადგან მის გვერდით ყოფნისას ეუფლებოდა შიშის გრძობა, ხოლო დირექტორის საუბარი და შეკითხვები - უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა.

მორიგი კომუნიკაცია კომპანიის დირექტორის მიერ განხორციელდა შუალედისას, როდესაც მან განმცხადებელს მისწერა, რომ არის სიცოცხლით სავსე ქალი და მას სიცოცხლის სურვილს აღუძრავდა და თუ პატივისცემით მოეპყრობოდა მას, ისიც პატივისცემით უპასუხებდა, რაზეც განმცხადებელმა უთხრა, რომ ძალიან სჭირდებოდა სამსახური და იძულებულს ნუ გახდიდა, რომ დაეტოვებინა კომპანია. აღნიშნული პასუხის მიუხედავად, დირექტორმა მამაკაცმა მაინც გააგრძელა კომუნიკაცია, რის შემდეგაც განმცხადებელმა მისწერა, რომ სამსახურში აღარ გამოცხადდებოდა.

საქმის მიმდინარეობა: განმცხადებელმა “საფარს” დასახმარებლად 2021 წლის ზაფხულში მიმართა. ორგანიზაციამ ამავე წლის 3 აგვისტოს განცხადება წარადგინა საქართველოს სახალხო დამცველთან კომპანიის დირექტორის მხრიდან დასაქმებული ქალის მიმართ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის, კერძოდ სექსუალური შევიწროების ფაქტების დადგენის თაობაზე. მიმდინარეობს საქმის განხილვა.

სამართლებრივი შეფასება: საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3² პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროება აკრძალულია საქართველოს შრომის კოდექსით, რომლის მიზნებისთვის, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა²⁹.

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს ორი ფორმით: 1. Quid Pro Quo - მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც პირისაგან მოითხოვს სექსუალურ ურთიერთობას, იმისათვის, რათა დასაქმებულმა შეინარჩუნოს ან მოიპოვოს სამსახურებრივი ბენეფიტები, როგორცაა ხელფასის მომატება, დანინაულება და ა. შ. და 2. მტრული სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, მტრული და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას³⁰.

29. საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს შრომის კოდექსი“, მე-4 მუხლის მე-6 ნაწილის პენიშვნა.

30. Sexual Harassment at Work, International Labour Office, 1, <https://bit.ly/3OfUeYb> [23.06.2022].

3.2. თ. ბ. საქართველოს პარლამენტის წევრი კაცი დეპუტატების წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან შევიწროების, მათ შორის, სექსუალური შევიწროებისა და გენდერული და პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი ჰქონდა საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების მიერ, კერძოდ მმართველი გუნდის პარლამენტის წევრი კაცი დეპუტატების მიერ ქალი დეპუტატის მიმართ. მოცემულ საქმეში, ქალი პოლიტიკური ოპონენტის გაჩუმების მეთოდები იყო დისკრიმინაციული, რაც არ იქნებოდა გამოყენებული კაცი დეპუტატის ან/და არაოპონენტი (მმართველი გუნდის წევრი) ქალების მიმართ.

ფაქტობრივი გარემოებები: 2021 წლის 18 ივლისს, განმცხადებელი იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის შენობაში, პლენარული სხდომის დარბაზში. საქართველოს პარლამენტის წევრები აპროტესტებდნენ 2021 წლის 5 ივლისს მედიასაშუალების წარმომადგენლების მიმართ, რადიკალური ჯგუფების მხრიდან განხორციელებულ თავდასხმებს, რასაც საბოლოოდ ერთ-ერთი ჟურნალისტის გარდაცვალება მოჰყვა. განმცხადებელს სურდა, რომ უშუალოდ გასაუბრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და ამ მიზნით გაემართა მისი ტრიბუნისკენ, რა დროსაც მას კოლეგა მამაკაცმა, რომელიც წარმოადგენს სახელისუფლებო პარტიას, დეპუტატ ქალს შემოხვია ხელები და მისი ნების საწინააღმდეგოდ განარიდა ტერიტორიას. აღნიშნული ინციდენტის შემდგომ, როდესაც განმცხადებელი მიემართებოდა თავისი სამუშაო მაგიდისკენ, ასევე მმართველი პარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა მამაკაცმა მას მიმართა სექსუალური შინაარსის ფრაზით.

საქმის მიმდინარეობა: 2021 წლის 11 ნოემბერს, ორგანიზაცია „საფარის“ დახმარებით, განმცხადებელმა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, სექსუალური შევიწროებისა და გენდერული და პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატს წარედგინა მოწმის ახსნა განმარტება და ვიდეო და ფოტომასალა.

სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 20 დეკემბრის წერილით, ორგანიზაციას ეცნობა, რომ განცხადებით მიმართვამდე, სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული გარემოებების, ასევე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს რეაგირების ეფექტიანობის საკითხის შესწავლა, შესწავლის შედეგები კი აისახებოდა სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალურ ანგარიშში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ და „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საპარლამენტო ანგარიშში. შესაბამისად, სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წარმოება დაასრულა.

ორგანიზაცია არ ეთანხმება სახალხო დამცველის აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ წარმოება არ უნდა დასრულებულიყო და სახალხო დამცველს უნდა შეეფასებინა დისკრიმინაციული მოპყრობის თითოეული ფაქტი და გამოეცა შესაბამისი რეკომენდაციები. ორგანიზაცია „საფარი“ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, პარლამენტის წევრების მხრიდან თ. ბ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი გაშუქდა ტელევიზიების მეშვეობით, თუმცა, განცხადებაში მოყვანილი იყო ფაქტები და წარდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მხოლოდ თ. ბ.-თვის იყო ხელმისაწვდომი. ასევე, ერთ-ერთი დეპუტატის ქმედებები აღწე-

რილია მხოლოდ თ. ბ.-ს ახსნა-განმარტებაში და აღნიშნული საკითხი ჟურნალისტების მიერ არ ყოფილა გაშუქებული. შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ თ. ბ.-ს მიმართვის გარეშე სახალხო დამცველს ვერ ექნებოდა სრულყოფილი ინფორმაცია დეპუტატის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ და ვერ შეძლებდა ფაქტების დამოუკიდებლად შეფასებას.

ამდენად, ორგანიზაციის პოზიციით, თ. ბ.-ს აქვს „იურიდიული ინტერესი“, მონაწილეობა მიიღოს წარმოებაში და შეფასებული იყოს მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

სამართლებრივი შეფასება: განმცხადებელი მოითხოვს, რომ ერთი დეპუტატი კაცის მხრიდან განხორციელებული ქმედება შეფასებულ იქნას შევიწროებად და გენდერული და პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციად (ფიზიკური გზით ტერიტორიიდან გარიდების გამო), ხოლო მეორე დეპუტატი კაცის ქმედება - სექსუალურ შევიწროებად (სექსუალური შინაარსის ფრაზით მიმართვის გამო).

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს შევიწროებას და სექსუალურ შევიწროებას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3¹ პუნქტით თანახმად, შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. ამავე მუხლიდ მე-3² პუნქტის თანახმად კი, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

აღნიშნულის გარდა, დეპუტატების მსგავსი ქცევა ამყარებს სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ქალების მიმართ, თითქოს პარლამენტი არის ფიზიკური დაპირისპირების სივრცე და იქ ქალებს არ მიეცვლებათ, ხოლო თუ ამ სივრცეში მოხვდებიან, შესაძლოა, ფიზიკური ძალმომრეობის გამოყენების გზით გამოიძევონ.

სახალხო დამცველის შეფასებით, კაცი დეპუტატების მხრიდან ოპონენტი ქალების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებით განეიტრალების მცდელობა განსაკუთრებით საგანგაშო პრეცედენტია, რამდენადაც, აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი არის არა პროცესების შემოქმედი და/ან თანამონაწილე, არამედ - ობიექტი, უსულო საგანი, რომელსაც შეიძლება, მამაკაცმა მისი ნებისა და ღირსების სრული უგულებელყოფით მიუჩინოს ადგილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსმა ქმედებებმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ქალთა თანასწორობასა და პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობა, ისევე როგორც პოლიტიკაში მათი ჩართულობა, ქვეყნის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს³¹.

31. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2022, 56-58, <https://bit.ly/3nE8LBb> [2.07.2022].

3.3. ნ. გ. ადვოკატ ლ. ჯ.-ის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: საქმე არის პრეცედენტული, რამდენადაც იგი ეხება ადვოკატის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალი კლიენტის სექსუალურ შევიწროებას სოციალურ ქსელში. მოცემულ საქმეში, მნიშვნელოვანი გამარტება გაკეთდა ქცევის არასასურველობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოპასუხე მიუთითებდა, რომ მიმონწერაში ქალის მიმართ გამოხატავდა სიმპათიას, რაც იყო ორმხრივი დიალოგი. თუმცა, დადგინდა, რომ აღნიშნული ეფუძნებოდა მისი, როგორც მამაკაცის, მხრიდან ქცევის არასწორ აღქმას.

ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი წარსულში გახდა ძალადობის მსხვერპლი ყოფილი მეუღლის მხრიდან. ბავშვების მამისგან ალიმენტის მოთხოვნისა და ქონებრივი დავის წარმოების მიზნით, სასამართლოში სარჩელის აღძვრა გადაწყვიტა, რისთვისაც, უსახსრობის გამო, სხვადასხვა პერიოდში, დასახმარებლად მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2020 წლის 28 ივნისს, ნ. გ. სოციალური ქსელის, Facebook-ის, მეშვეობით, დაუკავშირდა ერთ-ერთ იურიდიულ კომპანიას. რეკლამის თანახმად, კომპანია ალიმენტთან დაკავშირებულ დავებზე მუშაობდა და კონსულტაციის განწვევა იყო უფასო. კომპანიის წარმომადგენლებმა განმცხადებელს დაუნიშნეს კონსულტაცია, თუმცა, ნ. გ.-მ ოფისში მისვლა ვერ მოახერხა და კომპანიას კონსულტაციის დისტანციურად განწვევა სთხოვა. კომპანიის წარმომადგენლები დაპირდნენ, რომ მას ადვოკატი დაუკავშირდებოდა.

რამდენიმე დღეში, სოციალური ქსელის Facebook-ის მეხენჯერით, განმცხადებელს დაუკავშირდა ლ. ჯ., რომლის Facebook პროფილი იყო სახელწოდებით - ადვოკატი ლ. ჯ. ნ. გ.-მ ივარაუდა, რომ იგი იყო ზემოაღნიშნული იურიდიული კომპანიის წარმომადგენელი და უკავშირდებოდა ალიმენტის საქმესთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, ეს ადამიანი მას მიმართავდა ძალიან ფამილარულად, შენობით, რაც მისთვის გასაკვირი იყო, თუმცა, მიმონწერის დროს შეეცადა, აეხსნა მისი საქმის დეტალები, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნებოდა ალიმენტთან დაკავშირებული სარჩელის მომზადებისთვის. საუბრისას, მოპასუხემ აღნიშნა, რომ განმცხადებლის სიტუაცია, ფაქტობრივად, უიმედო იყო და, მის გარდა, ვერავინ დაეხმარებოდა. საკუთარი მაღალპროფესიონალიზმის დასადასტურებლად, მოპასუხე განმცხადებელს უგზავნიდა მის შესახებ ბმულებს და ვიდეომასალებს.

ნ. გ.-ის განმარტებით, კომუნიკაციის პერიოდში, ლ. ჯ. იწყებდა სხვადასხვა საკითხებზე საუბარს - თავდაპირველად, შედარებით ნეიტრალურ თემებს, შემდეგ კი პირადი ხასიათის საკითხებს ეხებოდა. ეს განმცხადებლის დაბნეულობას იწვევდა და იგი დელიკატურად, „ლიმილაკებით“ უბრუნებდა პასუხს. მიმონწერის დროს, მოპასუხე აქცენტს აკეთებდა საკუთარ ფიზიკურ მონაცემებზე და განმცხადებელს პერიოდულად უგზავნიდა თავის ფოტოებს/ვიდეოებს, გადაღებულს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში. ერთ-ერთი ვიდეო გამოგზავნა შეკითხვით: „აბა, არ მოგწონვარ?“. ლ. ჯ. ასევე, განმცხადებელს სწერდა, რომ განმცხადებელი ესიმპათიურებოდა და მოსწონდა, თავადაც რამოდენიმეჯერ ჰკითხა - მოგწონვარ? ასევე, განმცხადებელს უგზავნიდა გულის და კოცნის ემოციებს.

განმცხადებლის მითითებით, მოპასუხის ასეთ ქცევაზე მან გამოხატა გაკვირვება, თუ რატომ ცდილობდა ლ. ჯ. მისთვის თავის მოწონებას და არაერთხელ მიუთითა, რომ ზღვარს გადადიოდა. განმცხადებლის შეფასებით, თავდაპირველად, ლ. ჯ. მას

აიმედებდა, რომ მისი პროფესიონალიზმი მოაგებინებდა ალიმენტისა და ქონებრივ დავას. თუმცა, შემდეგ მოულოდნელად შეცვალა ტაქტიკა და უთხრა, რომ სამართლებრივი დავისთვის თავი დაენებებინა („შეეშვი წყლის ნაყვას და ღირსეული ვინმე ნახე, ვინც გაგაძლიერებს“), რომ ცუდ ქმარს კარგი საყვარელი სჯობს და რომ ამას ყველა კლიენტ გოგოს ეუბნება.

აღნიშნულზე, განმცხადებელმა კატეგორიულად განუცხადა, რომ ვინმეს მონახვა-არმონახვა მხოლოდ მისი პირადი საქმე იყო და არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან. განმცხადებელმა მას ასევე განუმარტა, რომ საყვარლობის თემისგან ძალიან შორს არის და ურჩევნია, რომ მის ცხოვრებაში სულ ნუ იქნება ნურავინ. აღნიშნული სიტყვების შემდგომ, განმცხადებელი დარწმუნდა, რომ ლ. ჯ.-ს სხვა მიმართულებით მიჰყავდა საუბარი. კერძოდ, ეს იყო სექსუალური შევიწროება და საადვოკატო საქმიანობის სანაცვლოდ სექსუალური პარტნიორობის შეთავაზება. განმცხადებელმა გადაწყვიტა, სიტუაციისგან თავი დაეღწია ისე, რომ მოპასუხე ზედმეტად არ გაეღიზიანებინა, ნელ - ნელა „ღიმილაკებით“ და მინიშნებებით მიეხვედრებინა, რომ არასწორად და არაეთიკურად იქცეოდა მის მიმართ. ვინაიდან ამ ადამიანს, როგორც ადვოკატს, დიალოგის დასაწყისში, საქმის ვითარებაში გასარკვევად, გააცნო ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებული პირადი ხასიათის ინფორმაცია, განმცხადებელს გაურჩნდა შიში, რომ თუ იგი მას რაიმეზე უარს ეტყოდა, ის ამ პირად ინფორმაციას მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა.

გარდა ამისა, მოპასუხემ განმცხადებლის უსახსრობის თემა გამოიყენა და, მის მოსასყიდად, ახალ ხერხს მიმართა. ლ. ჯ.-მა დაიწყო ავტომანქანის, ფულის კუპიურების, მაცივრის, დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტების, ყველის, საბანკო ანგარიშის ამონაწერის და ა. შ. ფოტოების გაგზავნა; ლ. ჯ. მსგავსი ფორმით ცდილობდა, ფულით მისი ინტერესი გამოეწვია და, ფაქტობრივად, საკუთარ თავს სთავაზობდა. მორიგი კომუნიკაციისას, როდესაც მოპასუხემ ქალს კვლავ შეურაცხყოფა მიაყენა, განმცხადებელმა იგი დაბლოკა.

რამდენიმე დღეში ლ. ჯ.-მა განმცხადებელს სხვა, მეორე ფეისბუქ პროფილიდან გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა, ასევე, იწონებდა მის ფოტოებსა და პოსტებს. განმცხადებელმა მეორე პროფილიც დაბლოკა. აღნიშნული ფაქტის შემდგომ, ლ. ჯ.-მა უკვე მესამე ახალი ფეისბუქ პროფილიდან ისევ გაუგზავნა განმცხადებელს მეგობრობის თხოვნა, ასევე მოიწონა მისი პოსტები და კომენტარები. აღნიშნულმა ფაქტმა ძალიან გააღიზიანა განმცხადებელი და ლ. ჯ.-ს მისწერა, იმ ყველაფრის შემდეგ კიდევ როგორ ბედავდა მისთვის მეგობრობის გამოგზავნას და დაკონტაქტების მცდელობას, ასევე, კატეგორიულად მოსთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის და შეეწყვიტა დევნა. თავდაპირველად, მოპასუხემ იუარა, ხოლო შემდგომ მოულოდნელად დაიწყო საყვედურები (რატომ არ მწერ, მე გნახე და შენ რომ არ მწერ, „ნი ტო“ საქციელია და პასუხებს რატომ მიგვიანებ, 2 საათის მერე რატომ მწერ, პირველი დიალოგის დროს რატომ დამბლოკე...). ამასთან, მოპასუხე წერდა, რომ მოსწონდა და რომ მისი იგნორირებით დაიღალა. განმცხადებელმა კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება და მესამე პროფილზეც დაბლოკა.

საქმის მიმდინარეობა: ქალმა ორგანიზაცია „საფარის“ დახმარებით 2020 წლის 2 ნოემბერს მიმართა სახალხო დამცველის აპარატს სექსუალური შევიწროების დადგენის თაობაზე. 2021 წელს სახალხო დამცველმა დაადგინა სექსუალური შევიწროების ფაქტი და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართ სექსუალური შევიწროების ჩამდენ პირს.

გარდა ამისა, ლ. ჯ.-ის მიმართ, მისი მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომელიც გასაჩივრდა როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, თუმცა მოსამართლემ ორდერი ძალაში დატოვა.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ლ. ჯ.-ის მხრიდან პროფესიული ეთიკის დარღვევის გამო განცხადება იქნა შეტანილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში. თუმცა, კომისიამ ეთიკის დარღვევა არ დაადგინა და მიუთითა, რომ ვერ დარწმუნდა ლ. ჯ.-ის მიერ ნ. გ.-თან განხორციელებული მიმონერების ნამდვილობაში, მაშინ, როდესაც აღნიშნულ პირებს შორის სოციალურ ქსელში არსებულ მიმონერაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა ფაქტების კონტანტაცია, რაც გამოყენებულ იქნა მტკიცებულებად როგორც სასამართლოს, ისე სახალხო დამცველის მიერ. ეთიკის კომისიას არც ის განუმარტავს, ფაქტების კონსტანტაციის გარდა, სხვა რა გზით შეიძლებოდა, ყოფილიყო მიმონერა წარდგენილი, რათა მის ნამდვილობაში დარწმუნებულიყო.

სამართლებრივი შეფასება: სახალხო დამცველის შეფასებით, ლ. ჯ.-ის მხრიდან გაკეთებული კომენტარები და შეთავაზებები, გასცდა მეგობრულ დამოკიდებულებას და ატარებდა სექსუალურ ხასიათს. ქცევის არასასურველობასთან მიმართებით, მოპასუხე წარმოდგენილ პოზიციაში მიუთითებდა, რომ მიმონერაში ნ. გ. მის მიმართ სიმპათიას გამოხატავდა, რაც, ჩვეულებრივ, იყო ორმხრივი დიალოგი. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული ეფუძნება მისი, როგორც მამაკაცის მხრიდან ქცევის არასწორ აღქმას. განმცხადებელი მიმონერისას აშკარად გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას მოპასუხის ქცევის მიმართ. ასევე, განმცხადებელმა მისი ფეისბუქ ანგარიში დაბლოკა, რითიც მოპასუხის ქცევის მიუღებლობა კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა.

როგორც განმცხადებლის მიერ წარდგენილი მიმონერის ამსახველი ვიდეომასალით დადასტურდა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა გამოხატა უკმაყოფილება მოპასუხის ქცევის მიმართ, მოპასუხემ სწორედ მის ოჯახურ მდგომარეობაზე გააკეთა აქცენტი, და მისი ოჯახური სტატუსი წარმოაჩინა უარყოფით და შეურაცხმყოფელ კონტექსტში - მიმართა, რომ განათხოვარია და ჰყავს შვილები. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნ. გ. არის მარტოხელა დედა, რომელიც წარსულში, ყოფილი მეუღლის მხრიდან, გახდა ძალადობის მსხვერპლი. მსგავსი ტრავმული გამოცდილების მქონე ქალები უფრო მეტად სენსიტიურები არიან და მათთვის, შესაძლებელია, კიდევ უფრო დამაშინებელი და მატრავმირებელი იყოს მამაკაცის მხრიდან არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა. ამასთან, ვინაიდან მოპასუხეს, როგორც ადვოკატს, დიალოგის დასაწყისში საქმის ვითარებაში გასარკვევად გააცნო ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებული პირადი ხასიათის ინფორმაცია, გაუჩნდა შიში, რომ თუ იგი მას რამეზე უარს ეტყოდა, პირად ინფორმაციას მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. გ.-ს გაუჩნდა საფუძვლიანი შიში. მისი შიში კიდევ უფრო გააძლიერა საქველმოქმედო ღონისძიებასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა, რა დროსაც ლ. ჯ. უშუალოდ შეხვდა მას. ამასთან, ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, ლ. ჯ.-მა განმცხადებელს სხვა ფეისბუქ პროფილიდან კვლავ გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა და ინონებდა მის ფოტოებსა და პოსტებს. განმცხადებლის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ მას სერიოზული შიში განუვითარდა - როდესაც ბავშვებს სკვერში ასეირნებდა, ეგონა, რომ მოპასუხე უთვალთვალებდა, გამოჩნდებოდა და არასასურველ სიტუაციაში ჩააყენებდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების ვარაუდი განმცხადებლის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმონერას, რის გამოც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო. განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები ამყარებდა მის მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ლ. ჯ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ნ. გ.-ის მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმონერაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სექსუალური შევიწროების ჩამდენ პირს, რომ მომავალში არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო³².

3.4. ქალი ფეხბურთელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნულმა საქმემ ხელი შეუწყო ქალ ფეხბურთელთა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებლები ფეხბურთელი ქალები არიან და მრავალი წელია, ერთ-ერთი საქართველოს ქალთა საფეხბურთო კლუბში ირიცხებიან. კლუბის მიერ დაქირავებული სპორტსმენის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა სრულად სპორტსმენის პასუხისმგებლობაა და აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორმალური შეთანხმების თანახმად, კლუბს ვალდებულებები არ გააჩნია. კერძოდ, კლუბსა და სპორტსმენს შორის ურთიერთობა რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და შინაგანაწესით. ხელშეკრულების თანახმად, კლუბი ვალდებულია, შეუქმნას სპორტსმენს ნორმალური სამუშაო პირობები და გადაუხადოს ანაზღაურება, შინაგანაწესის თანახმად, კლუბს დაქირავებულთათვის შემოღებული აქვს საერთო აკრძალვები, რომლის თანახმად, „სპორტსმენი ვალდებულია, მატჩისთვის მოემზადოს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად; გვერდი აუაროს ტრავმებს და ამისათვის სპორტსმენი ვალდებულია, ჩაიტაროს ყველა დაცვითი საშუალება; სპორტსმენი ვალდებულია, გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას“. ამავდროულად, მამაკაცი ფეხბურთელებისთვის, მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სამედიცინო მეთვალყურეობას და ტრავმის შედეგად ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს.

ერთ-ერთი განმცხადებლის განმარტებით, ქალი ფეხბურთელების ყოველდღიურობაში, ისევე, როგორც მამაკაცი ფეხბურთელების შემთხვევაში, ხშირია ტრავმები და ჯანმრთელობის მსუბუქი და მძიმე დაზიანება, როგორც ვარჯიშის დროს, ისე - უშუალოდ მატჩის ან ტურნირის მიმდინარეობისას. თუმცა, განსხვავებულია მიდგომები ქალი და კაცი ფეხბურთელების მიმართ. კერძოდ, კაც ფეხბურთელთან მიმართებით, დამკვიდრე-

32. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ, <https://bit.ly/3Nb3LhG> [23.06.2022].

ბულია გეგმიური სამედიცინო კვლევების პრაქტიკა, ასევე იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ტრავმას მიიღებენ, საფეხბურთო კლუბები სამედიცინო პროცედურებს ფეხბურთელის სრულ გამოჯანმრთელებამდე აფინანსებს. ქალი ფეხბურთელების შემთხვევაში, მსგავსი რამ გამორიცხულია. კერძოდ, მათ არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა, ვერ იტარებენ გეგმიურ გამოკვლევებს, ქალების საფეხბურთო კლუბებს არ ჰყავთ ექიმი, რომელიც სამედიცინო კვლევების საჭიროებას განსაზღვრავდა. ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალთან (განმცხადებლის შემთხვევაში - დირექტორთან) კომუნიკაცია არის ერთადერთი გზა, რომ საჭირო სამედიცინო კვლევებისთვის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ. მისი განმარტებით, ადმინისტრაციული პერსონალის არასამედიცინო განათლება, თითქმის გამორიცხავს დაფინანსების მიღების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კლუბის მიერ დაქირავებული სპორტსმენის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობა ზრუნვა სრულად სპორტსმენის პასუხისმგებლობაა და აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორმალური შეთანხმების თანახმად, კლუბს ვალდებულებები არ გააჩნია. განმცხადებლებს წლების მანძილზე მრავალი ტრავმა აქვთ მიღებული და ამჟამად, ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობის ფონზე უნევთ ვარჯიში და თამაში. კლუბი მათთვის სამედიცინო პროცედურების ჩატარებაზე უარს აცხადებს და მიზეზად ფინანსების არარსებობას ასახელებს.

საქმის მიმდინარეობა: პირველმა და მეორე განმცხადებელმა, 2020 წლის 16 დეკემბერს, ხოლო მესამე განმცხადებელმა - 22 დეკემბერს მიმართეს სახალხო დამცველს, WISG-ის დახმარებით და მოითხოვეს დისკრიმინაციის დადგენა და რეკომენდაციით მიმართვა როგორც კლუბისთვის, ისე - ფეხბურთის ფედერაციისთვის, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაციული პრაქტიკა.

საქართველოს სახალხო დამცველმა განმცხადებლების მიერ დაყენებული საკითხები შეისწავლა კომპლექსურად და ინფორმაცია დააზუსტა არა მხოლოდ მოპასუხესთან, არამედ - კაცთა საფეხბურთო კლუბებთან, ქალთა საფეხბურთო კლუბებთან და საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებთანაც და დაადგინა, რომ ქალის რეპროდუქციული უნარიდან გამომდინარე, ქალ ფეხბურთელებთან მიმართებით, მათი და ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობისა და შრომის უფლების დაცვის მიზნით, აუცილებელია განსაკუთრებული მიდგომები. აქედან გამომდინარე, მან შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით:

- ლიცენზირებას დაქვემდებარებული გუნდების ექიმებისთვის დაგეგმილ სავალდებულო ტრენინგებში გაითვალისწინოს ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები;
- ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტიდან გამომდინარე, მიიღოს სახელმძღვანელო დოკუმენტი (სტანდარტები) ქალი ფეხბურთელების ორსულობისა და შემდგომი პერიოდისთვის ფიზიკური დატვირთვის თაობაზე.

ქალი ფეხბურთელების შრომის უფლების რეალიზების მიზნით, გაითვალისწინოს ფიფას შემდეგი წესები (რომელთა დარღვევისთვისაც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ სპორტულ სანქციებს):

- ქალი ფეხბურთელის ხელშეკრულების მოქმედების ვადას არ შეიძლება, განაპირობებდეს მოთამაშის ორსულობა, მისი ყოფნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებაში, ასევე - მისი მხრიდან დედობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება;
- იმ შემთხვევაში, თუ ქალი ფეხბურთელი სამსახურიდან გათავისუფლდება ორსულობის გამო, დადგინდეს სპორტული სანქციები;
- თუკი ორსული მოთამაშის ან/და მისი ბავშვის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, მოთამაშეს უნდა შეეძლოს სპორტულ აქტივობაში მონაწილეობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი უსაფრთხოება;
- ორსულ მოთამაშეებს ჰქონდეთ უფლება, რომ კლუბთან ალტერნატიულად ითანამშრომლონ. ასეთ შემთხვევებში, კლუბს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, პატივი სცეს მოთამაშის ამ გადაწყვეტილებას და იმუშაოს ფეხბურთელთან ერთად მისი ალტერნატიული დასაქმების გეგმის დასადგენად, რა დროსაც ანაზღაურება სრულად ნარჩუნდება.

ასევე, ფედერაციას დაევალა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გაუზიაროს საქართველოში მოქმედ ქალთა საფეხბურთო კლუბებს³³.

სამართლებრივი შეფასება: განმცხადებელი ქალი ფეხბურთელები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ხორციელდება სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, გარანტირებულია თანასწორობის უფლება და აკრძალულია სქესის ნიშნით დისკრიმინაცია. შესაბამისად, აკრძალულია პრაქტიკა, რომელიც რაიმე ნიშნით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ჯგუფს. “სპორტის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სპორტში დასაქმებული პირები, როგორც წესი, მუშაობენ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები. გარდა აღნიშნულისა, “სპორტის შესახებ” კანონის 21-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც აფორმებს პროფესიონალი სპორტსმენი, სპორტში მოღვაწეობისა და შეჭიბრებებში მონაწილეობის პირობებთან ერთად უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პირობებს. ამ და სხვა საკანონმდებლო ვალდებულების მიუხედავად, ქალ განმცხადებელთა დამსაქმებელი კლუბი და სხვა ქალთა საფეხბურთო კლუბები, მამაკაცებით დაკომპლექტებული კლუბებისგან განსხვავებით, სპორტსმენტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობად არათუ ჯანმრთელობის დაზღვევას, არამედ ვარჯიშის/თამაშის დროს მიღებული ტრავმის ანაზღაურების ვალდებულებასაც არ ითვალისწინებს.

3.5. ს. ლ. სს “ლიბერთი ბანკის” წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: დავა შეეხება, სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, ქალის სამსახურიდან გათავისუფლებას. არსებით გარემოებას წარმოადგენს, რომ ს. ლ. გაათავისუფლეს დეკრეტული შვებულებიდან სამსახურში გამოცხადების პირველივე დღეს.

33. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, <https://bit.ly/3tZFq7B> [26.06.2022].

ფაქტობრივი გარემოებები: 2018 წლის 23 ოქტომბერს, მოსარჩელე გათავისუფლდა სს „ლიბერთი“ ბანკიდან. მოსარჩელე განმარტავს, რომ 2018 წლის 23 ოქტომბერს, დაუსრულდა კანონით განსაზღვრული დეკრეტული შვებულება. სამსახურში გამოცხადების პირველივე დღეს, სერვის ცენტრის ხემძღვანელმა მას განუმარტა, რომ ბანკში განხორციელდა რეორგანიზაცია და რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა მენეჯერის შტატი, რომელსაც მოსარჩელე დეკრეტულ შვებულებაში გასვლამდე იკავებდა.

საქმის მიმდინარეობა: ს. ლ.-მ, 2018 წლის 22 ნოემბერს, „უფლებები საქართველოს“ მხარდაჭერით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ლიბერთი ბანკს მოსარჩელის მიმართ დაევალა 10 თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება. თუმცა, სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტი არ დაადგინა, მაგრამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ „სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივი ვითარებად მიიჩნია, ის რომ მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა ორგანიზაციის მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო“. სასამართლომ, ასევე განმარტა რომ „მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, დისკრიმინაციულად და დამსაქმებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსარჩელის უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებას“.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სს „ლიბერთი“, ბანკის მიერ, შესაბამისად, ამ ეტაპზე, აღნიშნული საქმე განიხილება სააპელაციო სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: დეკრეტული შვებულების მიმდინარეობისას მოსარჩელის გათავისუფლებით, დამსაქმებელმა კომპანიამ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს შრომის კოდექსით დასაქმებულისთვის გარანტირებული უფლებები.

3.6. ნ. გ შპს „ვესტას“ წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: დავა პრეცედენტულია, ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის დროს, ერთ-ერთი კერძო კომპანიიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს მხოლოდ ქალები. დამსაქმებელის მხრიდან ქალების გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსი 47-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ, ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.

ფაქტობრივი გარემოებები: 2020 წლის 21 აპრილს, მოსარჩელე გათავისუფლდა კომპანია „ვესტადან“ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და შეტყობინების გარეშე. ნ. გ.-ს განმარტებით, ის გათავისუფლდა გენდერული ნიშნით, ვინაიდან სამუშაო ძალის შემცირების მოტივით დაწყებული რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა მხოლოდ არასასურველი ქალი თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას. აღნიშნულმა გარემოებამ თავიდანვე გააჩინა შეკითხვები გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით.

საქმის მიმდინარეობა: ნ. გ.-მ, „უფლებები საქართველოს“ მხარდაჭერით, 2020 წლის აპრილში, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება.

სამართლებრივი შეფასება: თბილისის საქალაქო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი მოსარჩელე მხარემ მტკიცების მაღალი სტანდარტით უნდა დაადასტუროს. ასევე, კანონიერად იქნა მიჩნეული სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება. მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა და მოპასუხე კომპანიას ნ. გ.-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დააკისრა. თუმცა, დისკრიმინაციული მოპყრობა არ დაადგინა. აღნიშნული გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

4. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით³⁴

4.1. ა(ა)იპ “ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელის” თანამშრომელი „კოპიპრინტ 2000“-ის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე ხელს უწყობს ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობის მხრივ საქართველოში არსებული პრობლემური გარემოს გაუმჯობესებას. აგრეთვე, ამგვარი საქმეების წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მომავალში დისკრიმინაციული მოპყრობის პრევენციისთვის.

ფაქტობრივი გარემოებები: 2021 წლის 6 ივლისს, ა(ა)იპ “ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელის” თანამშრომელმა მიმართა შპს „კოპიპრინტ-2000“-ს, ორგანიზაციისთვის ბეჭდის დამზადებისთვის, კომპანიის თანამშრომელი კი, რომელსაც უნდა დაემზადებინა ორგანიზაციის ბეჭდის ყალიბი, გენდერული გამოხატვის გამო, ჰომოფობიურ ხუმრობებს ამბობდა. განმცხადებლის მითითებით, მისი რიგის მოსვლისთანავე, მან აღნიშნულ პირს შეუთანხმა ბეჭდის დიზაინი და როდესაც ორგანიზაციის სახელწოდება უთხრა, კომპანიის თანამშრომელმა დაიწყო „თბილისი პრაიდის“ გინება, ლევან ვასაძის ქება და 5 ივლისის აქციაზე საუბარი. განმცხადებელი აღნიშნულ პირს განუმარტავდა, რომ ის „თბილისი პრაიდს“ არ წარმოადგენდა და მომსახურების მიღება სურდა. განმცხადებლის მითითებით, როდესაც კომპანიის თანამშრომელმა მას უარი განუცხადა ბეჭდის დამზადებაზე, მან გადაწყვიტა, აღნიშნული ტელეფონის საშუალებით ჩაენერა. განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარუდგინა აღნიშნული შეხვედრის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, რომლითაც იკვეთება, რომ განმცხადებელმა გააფრთხი-

34. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, თუმცა, აღნიშნული ნიშანი მოიაზრება სხვა ნიშანში და პირდაპირ არის მითითებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში.

ლა კომპანიის თანამშრომელი, რომ საუბრის აუდიო/ვიდეო ჩანერა მიმდინარეობდა. ჩანაწერში გარკვევით ისმის, რომ განმცხადებელი ცდილობს, გაიგოს, თუ ვინ არის კომპანიის ხელმძღვანელი, რაზეც აღნიშნული პიროვნება პასუხობს: „რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, მენეჯერს რას კითხულობ, მე ვარ ჩემი თავის მენეჯერი“. ასევე განმცხადებელი მიუთითებს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ეუბნება უარს მომსახურებაზე, რაზეც აღნიშნული პიროვნება პასუხობს, რომ მას ეს არ აინტერესებს. ამ კომუნიკაციაში ერთვება ქალიც, სავარაუდოდ, ასევე კომპანიის თანამშრომელი, რომელიც აღნიშნავს, რომ ყველაფერი ნებაყოფლობითია, განმცხადებელს მიუთითებს, რომ დატოვოს მათი კომპანია და „სხვაგან მიბრძანდეს“. განმცხადებლის განმარტებით, შიშის გამო, დატოვვა „კოპიპრინტ-2000“-ის შენობა, ასევე, მიუთითა მძიმე ემოციურ ფონზე და აღნიშნა, რომ მომხდარის გამო დასჭირდა ფსიქოლოგის დახმარება.

საქმის მიმდინარეობა: განმცხადებელმა რამდენიმე დღეში ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის WISG“ დახმარებით მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, სექსუალური ორიენტაციისა და პროფესიული საქმიანობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. სახალხო დამცველმა სრულად გაიზიარა განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი საჩივრის სამართლებრივი დასაბუთება, დაადგინა, რომ განმცხადებლებისათვის მომსახურების განწევზე უარი განპირობებული იყო მისი პროფესიული ნიშნით, უფლებადაცვითი საქმიანობის გამო და კომპანიას ანტიდისკრიმინაციული სტანდატების დანერგვის თაობაზე შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა.

სამართლებრივი შეფასება: 2019 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით)³⁵. ამავე კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ, ხოლო არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი. სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი, სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მისი პროფესიული საქმიანობის გამო, კერძოდ, ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის გამო. ამდენად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარის მიერ განმცხადებლის ლგბტ+ თემის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა დაედო საფუძვლად მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ხოლო მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინა-

35. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტი.

ცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი.

მოცემულ საქმეში მომსახურების განვსაზღვრავს უარის მიზებს წარმოადგენდა განმცხადებლის უფლებადაცვითი საქმიანობა, ორგანიზაციის ბენეფიციარების სექსუალური ორიენტაცია და მისი მიზანი - ლგბტ+ თემს უფლებების დაცვაში დახმარება გაუწიოს. მოპასუხის მიერ უარი კი განპირობებული იყო მისი უარყოფითი დამოკიდებულებით ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისადმი. ამდენად, კომპანიის ქმედება მომსახურების სფეროში ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის და პროფესიული საქმიანობის ნიშნით დისკრიმინაციაში გამოიხატა³⁶.

4.2. „თანასწორობის მოძრაობა“ თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნული საქმის წარმოების შედეგად, შესაძლებელი გახდა საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში გამოყენებულ სასწავლო ლიტერატურაში დისკრიმინაციული და ჰომოფობიური ტერმინების გასწორება და სახელმძღვანელოს ტექსტის შესაბამისობაში მოყვანა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ფაქტობრივი გარემოებები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი არჩევითი დისციპლინის „პოლიტიკური კულტურის“ სასწავლო კურსის ფარგლებში, სავალდებულო ლიტერატურის სახით იყენებს სახელმძღვანელოს „პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი“. სახელმძღვანელოში მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია/ მოსაზრება: - „.. შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ ერთსქესიანების ქორწინებისა და შვილის აყვანის უფლების ლეგალიზაციით განვითარებული დემოკრატიის ზოგიერთ ქვეყანაში, საფუძველი ეცლება ქრისტიანული, საერთოდ ადამიანების თანაცხოვრების მორალურ ნორმებს და ამდენად პლურალიზმის აბსოლუტიზაცია ლახავს უმრავლესობის ზნეობრივი არსებობის ფორმებს, არღვევს გაეროს მიერ აღიარებულ ბავშვთა უფლებების დეკლარაციას; ისლამურ სამყაროში ქრისტიანობა უკვე ასოცირდება ჰომოსექსუალიზმთან..“ - „.. საერთოდ დემოკრატიული საზოგადოებრიობა ადრე თუ გვიან გააცნობიერებს, რომ უმცირესობების ინტერესების დაცვის აბსოლუტიზაცია საფრთხეს შეუქმნის უმრავლესობას და, ასევე, კრიტიკულად შეხედავს კათოლიკური ეკლესიის მესვეურების განცხადებას, რომ “ღმერთმა შექმნა და მე ვინ ვარ?”, რადგანაც სპეციალისტების 70% მას (ჰომოსექსუალიზმს) დაავადებად თვლის. განსხვავებული სქესობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რაც საზოგადოების დანარჩენ წევრებს გააჩნიათ, მაგრამ უპირატესი მდგომარეობა არ უნდა შევუქმნათ, რაც პროპაგანდას ნიშნავს და შესაძლოა ამ მიმართულებით წაქე-

36. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია მომსახურების სფეროში ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის და პროფესიული საქმიანობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, <https://bit.ly/3OK2SxA> [26.06.2022].

ზების ტოლფასი იყოს. ზოგი იმასაც წერს, რომ ამერიკის მასშედიან ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს, როგორც დიქტატურის მაგალითს და შოვინიზმის ინკუბატორს, სოციალური უსამართლობის ბუდე და ამიტომ, მხარს უჭერს არატრადიციულ ურთიერთობებს”; - ამერიკელების უპირატესობის განცდა პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა ერთსქესიანების ქორწინებისა და შვილად აყვანის წესის დაკანონება მთელ რიგ შტატებში, საფრთხეს უქმნის ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს და ძირს უთხრის უმრავლესობის თანაცხოვრების ქრისტიანულ-მორალურ ნორმებს, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვთა უფლებების დეკლარაციის დარღვევაზე”.

საქმის მიმდინარეობა: 2021 წლის 3 თებერვალს „თანასწორობის მოძრაობამ“ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. განცხადების წარდგენის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა პასუხისთვის მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 2021 წლის 2 მარტს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა სახალხო დამცველს წარუდგინა წერილი, რომლის თანახმადაც, ფაკულტეტმა შეისწავლა სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები და მის ავტორთან კომუნიკაციის შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიიდან ამ მონაკვეთების ამოღების შესახებ. აგრეთვე, სასწავლო კურსის სილაბუსში სადავო მონაკვეთები ჩაანაცვლა სხვა სასწავლო მასალით. შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხე მხარემ სრულად გაიზიარა განცხადებაში წარმოდგენილი მოსაზრებები და სახელმძღვანელოში დისკრიმინაციული და ჰომოფობიური შინაარსის ტექსტის შეცვლის მზაობა გამოთქვა, რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება აღარ გამოცემულა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის მიმართვა და სასწავლო მასალის ჰომოფობიური შინაარსის მატარებელი ლიტერატურა სხვა შესაბამისი სახელმძღვანელოებით ჩაანაცვლა³⁷.

სამართლებრივი შეფასება: სახელმძღვანელოში გამოყენებულია არასწორი/მცდარი და დისკრიმინაციული ტერმინები („ერთსქესიანი“, „ჰომოსექსუალიზმი“, „სქესობრივი ორიენტაცია“). გარდა ამისა, ტექსტის სადავო ნაწილებში წარმოდგენილია მცდარი ინფორმაცია. მაგალითად, სექსუალურ ორიენტაციაზე საუბრისას, სახელმძღვანელოში ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „სპეციალისტების 70% მას დაავადებად თვლის“. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 1992 წელს ცვლილებები შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში. ცვლილებების თანახმად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა ამოიღო დაავადებათა სიიდან და ის შეაფასა, როგორც „განსხვავებული სექსუალური ქცევა და არა - დაავადება“. მიუხედავად იმისა, რომ სადავო წინადადება არა ავტორის ორიგინალური მოსაზრება, არამედ ციტირებული ფრაზაა, სახელმძღვანელოში შენიშვნის/მითითების სახით არ არის რაიმე დამატებითი განმარტება (ან შესწორება). გარდა ამისა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების კონტექსტში, ავტორი განიხილავს ერთნაირსქესიანი პირების ქორწინებისა და შვილის აყვანის საკითხს. აღნიშნული მსჯელობა, შეუსაბამოა როგორც ამ კანონის მიზნებთან, ისე - მოწესრიგების სფეროსთან. ამასთან, ამგვარი მსჯელობა წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას/

37. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, <https://bit.ly/3OmgPCr> [26.06.2022].

საშუალებას. დამატებით, სახელმძღვანელოში ერთნაირსქესიანი პირების ქორწინების უფლება შეფასებულია მხოლოდ რელიგიურ და ზნეობრივ ქრილში. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შეფასებადია მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული კანონმდებლობით. განსაკუთრებით პრობლემურია ერთნაირსქესიანი პირების ქორწინებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები („საფრთხეს უქმნის ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს“, „ძირს უთხრის უმრავლესობის თანაცხოვრების ქრისტიანულ-მორალურ ნორმებს“). საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების თუ რეგისტრირებული თანაცხოვრების სხვა ფორმას. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია ნებისმიერი ნიშნით იდენტიფიცირებადი პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. ერთნაირსქესიანი პირების ქორწინების უფლებების მხოლოდ რელიგიური/ზნეობრივი პერსპექტივიდან განხილვა, აზრს უკარგავს საქართველოს კონსტიტუციის მიზანს, „უზრუნველყოს ადამიანის ღირსების დაცვა, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა“.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დამკვიდრებული სტანდარტის თანახმად, „სასწავლო მასალაში კონკრეტული პირთა ჯგუფისადმი მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვების ან/და მოძველებული ინფორმაციის/ტერმინების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებში ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული ღირებულებების ჩამოყალიბებას“. ამასთან, „ლექტორის, როგორც ავტორიტეტის მქონე პირის, კონკრეტულმა მოსაზრებამ შესაძლებელია სტუდენტებზე გავლენა მოახდინოს“. შესაბამისად, სადავო სახელმძღვანელოს შინაარსი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებას და ახალისებს სტიგმას, დისკრიმინაციას.

4.3. ლ. ც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნული საქმის წარმოების შედეგად, გაუქმდა ტრანსგენდერი ქალებისთვის უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან დისკრიმინაციული მოთხოვნა სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებები: ლ. ც. ტრანსგენდერი ქალია, შეცვლილი აქვს სახელი და მისი სოციალური როლი არის ქალი, თუმცა, მისი გენდერის მარკერი არ არის შეცვლილი საქართველოში, გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არარსებობის გამო. ამის მიუხედავად, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მას, როგორც ვაჟს, წაუყენა მოთხოვნა, რომ წარადგინოს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ლ. ც.-მ წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. თუმცა, იგი ვერ ახერხებდა სწავლის დაწყებას მისთვის წაყენებული დისკრიმინაციული მოთხოვნის გამო, ვინაიდან სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ვერ შეძლო მოთხოვნილი მოწმობის წარდგენა.

საქმის მიმდინარეობა: ლ. ც.-მ, WISG-ის დახმარებით, მიმართა სახალხო დამცველს 2020 წლის 23 სექტემბერს და მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა, დისკრიმინაციული მოპყრობის შეწყვეტა და რეკომენდაციის გამოცემა. სახალხო დამცველმა მყისიერად

მიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და კანონით დადგენილ ვადაში მიიღო პასუხი. საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვისთანავე, უნივერსიტეტმა განმცხადებელს მოუხსნა სამხედრო მინერის მოწმობის წარდგენის ვალდებულება და მან შეუფერხებლად დაიწყო სწავლა უნივერსიტეტში.

საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და დაავალა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუზიაროს წინამდებარე ზოგადი წინადადება და მიანოდოს ინფორმაცია, რომ აბიტურიენტების/სტუდენტების დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესში პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სქესის მიხედვით განსაზღვრული ფორმალური წინაპირობების გათვალისწინების ნაცვლად, დანერგონ მოქნილი მექანიზმები/მიდგომები, უმაღლეს განათლებაზე ტრანსგენდერი ქალების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად³⁸.

სამართლებრივი შეფასება: საქართველოს კონსტიტუციითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, აკრძალულია დისკრიმინაცია გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით. ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ტრანსი ქალისთვის ე. წ. სამხედრო მინერის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება ცალსახად დისკრიმინაციული პრაქტიკაა. გამომდინარე იქიდან, რომ ტრანსგენდერ ქალებს არ შეუძლიათ, შეცვალონ გენდერის მარკერი პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტებში, მათ ეკისრებათ ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია იმ პირების მიმართ, რომელთა სქესის შესახებ ჩანაწერიც „მამრობითია“. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების არც საკანონმდებლო მოწესრიგება და არც - ადმინისტრაციული მექანიზმი, ტრანსგენდერ ქალებს არ შეუძლიათ, შეცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი. შედეგად, ისინი ყოველდღიურად ხდებიან გენდერული იდენტობის/გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის ან/და ტრანსფობიური ძალადობის მსხვერპლნი. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა (1 ბ). სისგენდერი ქალების მიმართ ე. წ. სამხედრო მინერის მოწმობის წარდგენის ვალდებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან არ არსებობს. მხოლოდ და მხოლოდ სქესის შესახებ ჩანაწერის („მამრობითი“) გამო, ლ. ც. აღმოჩნდა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი გენდერული იდენტობის ნიშნით, რადგან მას წაუყენეს აღნიშნული მოთხოვნა.

ამდენად, აბიტურიენტებისთვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნის შესახებ არსებული ნორმის საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ტრანსგენდერ ქალებს სხვა სტუდენტებთან მიმართებით და უზღუდავს მათ უმაღლეს განათლებაზე წვდომის უფლებას.

38. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, <https://bit.ly/3HQlqsW> [26.06.2022].

5. დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით³⁹

5.1. ლ. ხ. და შ. ო. - საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნული საქმის წარმოების შედეგად, ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე განხორციელდა სისტემური ცვლილება, კერძოდ ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების მქონე ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ რთული ქცევა, სახლში ჰყავდეთ ინდივიდუალური ზრუნვის განმახორციელებელი პირი, დღეში არაუმეტეს 18 საათისა. ასევე, აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად გამოიყენა დროებითი ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით და სახელმწიფო უწყებებს დაავალა ბავშვისთვის სათანადო სერვისის მიწოდება. საქმე პრეცედენტულია იმითაც, რომ სრულწლოვანების მიღწევის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა პერსონალური ასისტენტის მომსახურება მანამ, სანამ არ შეიქმნება სათემო საცხოვრისები მსგავსი ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებისა და სრულწლოვანებისთვის.

ფაქტობრივი გარემოებები: ლ. ხ. არის 17 წლის (თუმცა, საქმის განხილვის დროს გახდა სრულწლოვანი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომლის დიაგნოზია აუტიზმი და მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა, ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით. იგი ცხოვრობს დედასთან, შ. ო.-სთან ერთად. დედა არის ლ. ხ.-ის ერთადერთი მომვლელი. ბავშვი ყოველდღიურად იყენებდა ფიზიკურ დაზიანებას და ასევე, აზიანებდა დედას, რის გამოც, ორივე იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში. დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ მათი კვალი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სხეულზე. ჭარბი წონისა და ფიზიკური ძალის გამო, დედის მხრიდან, შეუძლებელი იყო ბავშვის აგრესიული ქცევის მართვა, მისი დამორჩილება და მისი დაცვა დაზიანებისგან. ბავშვის მიღებაზე უარი თქვა როგორც ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ, ასევე დღის ცენტრმა, რომელიც ქცევის გამონწვევის მქონე ბავშვებს უწევს დახმარებას. არ არსებობდა სერვისი, რომელიც ბავშვს და დედას სიცოცხლის ხელყოფის საფრთხისგან დაიცავდა. ლ. ხ.-ის დედის განცხადების საფუძველზე, მოხდა „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაში ჩართვა, თუმცა, აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის - “პირველი ნაბიჯის” სპეციალისტების განმარტებით, ეს პროგრამა, სტანდარტული ფორმით, ლ. ხ.-სთვის შეუსაბამო იყო და ვერ მიაწვდიდა მას სათანადო მომსახურებას.

2021 წლისთვის მოქმედი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწი-

39. შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული არც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში და არც – დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის პირველ მუხლში. თუმცა, საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შპმ), შესაძლებელია, იყვნენ „სოციალური ჯგუფის“ წევრები, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.

ფო პროგრამის ერთ-ერთი ქვეპროგრამა - „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“, სხვა სერვისთან ერთად, მოიცავდა ბინაზე 12 საათის განმავლობაში ინდივიდუალური მზრუნველის მომსახურებას. ლ. ხ. ამ პერიოდში ვერ იღებდა ამ მომსახურებას, რადგან სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უარს ამბობდა მომსახურებაზე არასაკმარისი პირობების, მზრუნველების დაბალი ფულადი ანაზღაურებისა და არასაკმარისი საათების გამო.

საქმის მიმდინარეობა: PHR 2021 წლის აგვისტოდან იცავს ლ. ხ.-ის და ლ. ხ.-ის დედის ინტერესებს როგორც ეროვნულ, ისე - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ლ. ხ.-ის საჭიროებებზე მორგების მოთხოვნით, PHR-მა მიმართა სახელმწიფო უწყებებს და მოითხოვა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური მზრუნველის მომსახურების დროის გაზრდა 18 საათამდე, ასევე ქვევის თერაპევტის მომსახურების დამატება, თუმცა აღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

PHR-მა ლ. ხ.-ის და ლ. ხ.-ის დედის ინტერესების დაცვა გააგრძელა სასამართლოში, რომელსაც მიმართა დროებითი ღონისძიების გამოყენებისა და 18 საათის განმავლობაში მეთვალყურეობის დაწესების მოთხოვნით, არასრულწლოვნისა და მისი დედის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად, კერძოდ:

1. შესაბამისი პროფესიონალების მიერ 18 საათის განმავლობაში ბავშვზე ინდივიდუალური ზრუნვის განხორციელება, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
2. ბავშვისთვის ქვევითი თერაპევტების მომსახურების მიწოდება;
3. პროფესიული კომსილიუმის გამართვა.

დროებითი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის გარდა, ორგანიზაციამ სასამართლოში წარადგინა სარჩელიც, რომლის ძირითად მოთხოვნებად განისაზღვრა დისკრიმინაციის დადგენა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, ახალი სათემო საოჯახო ტიპის საცხოვრისის შექმნა და მორალური ზიანის ანაზღაურება. ასევე, ლ. ხ.-სთან ერთად მოსარჩელე იყო დედა, რომელიც, როგორც შშმ პირთან ასოცირებული პირი, ითხოვდა დისკრიმინაციის დადგენას სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და ზიანის ანაზღაურებას.

როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე შემდგომში - სააპელაციო სასამართლომ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება. კერძოდ, არ დაკმაყოფილდა 18-საათიანი ინდივიდუალური მზრუნველისა და ქვევითი თერაპევტის დანიშვნის ნაწილში, თუმცა დააკმაყოფილა მოთხოვნა პროფესიული კონსილიუმის გამართვის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის 9 სექტემბერს, ორგანიზაციამ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მოითხოვა დროებითი ღონისძიების გამოცემა არასრულწლოვანი ლ. ხ.-ისთვის, 18-საათიანი მომსახურების განწესის თაობაზე. ამავე წლის 8 ნოემბერს, სასამართლომ გამოიყენა დროებითი ღონისძიება და საქართველოს მთავრობას დაავალა, დაუყოვნებლივ დაენიშნა ბავშვისთვის 12-საათიანი პერსონალური ასისტენტი ქვეპროგრამის ცვლილებამდე, ხოლო ცვლილების შემდეგ გაეზარდა მომსახურების დრო.

ვინაიდან, ქვეპროგრამა ეხებოდა პირებს 18 წლის ასაკს მიღწევამდე, რომლებსაც აქვთ მძიმე და ღრმა გონებრივი ჩამორჩენა ქცევის სირთულეებით, ხოლო აღნიშნული მექანიზმების გამოყენებისას, ლ. ბ. გახდა სრულწლოვანი, მომსახურების გარეშე დარჩენის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციამ კვლავ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახალი სერვისის შექმნამდე (24-საათიანი სათემო საცხოვრისი), ლ. ბ.-სთვის პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიწოდება. ამჯერად სასამართლომ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა და ლ. ბ.-ის საჭიროებაზე მორგებული სათემო საცხოვრისი შექმნამდე, მისი სრულწლოვანების მიუხედავად, კვლავ მიზანშეწონილად ჩათვალა მისთვის აღნიშნული სერვისის მიწოდება, რაც მნიშვნელოვანი იყო როგროც ლ. ბ.-ის, ისე მისი დედის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ასევე კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, დღემდე პრობლემურია მათი აღსრულება და ლ. ბ.-ს კვლავ არ მიეწოდება შესაბამისი მომსახურება.

ძირითად დავასთან დაკავშირებით, კვლავ გრძელდება საქმის განხილვა სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, მნიშვნელოვან პრინციპად აღიარებულია პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი და მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე, უზრუნველყოფილია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-10 მუხლებით, რომელიც მიუთითებს, რომ შშმ პირებს და განსაკუთრებით, ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობისა და აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამებზე, რომელიც მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს და ინდივიდის საჭიროებების შეფასებას ეფუძნებოდეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დატოვება აუცილებელი სერვისის გარეშე არღვევს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების მნიშვნელოვან პრინციპს (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლი), ბავშვის უვნებელ გარემოში ცხოვრების, განვითარებისა და სოციალური დაცვის უფლებას (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-12 მუხლი), ბავშვის უფლებას, მიიღოს მხარდაჭერა მისი მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენციის მიზნით (ბავშვის უფლებათა კოდექსის 27-ე მუხლი) და ბავშვის უფლებას მიიღოს ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა (ბავშვის უფლებათა კოდექსის 28-ე მუხლი).

5.2. ნინონმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის საქმე

საქმის მნიშვნელობა: საქმე პრეცედენტულია, რადგან ეხება ნინონმინდის ბავშვთა პანსიონში მცხოვრები ბავშვების, მათ შორის, შშმ ბავშვების ძალადობრივი გარემოდან გამოყვანას. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო დეინსტიტუციონალი-

ზაციის პროცესის დაჩქარებას. საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ქვეყანაში აღარ იარსებებს დიდი ზომის ბავშვთა სახლები.

ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს კანონმდებლობით, აკრძალულია დიდი ზომის ინსტიტუციებში ბავშვთა ყოფნა, თუმცა, საქართველოში კვლავ არსებობს დიდი ზომის ბავშვთა სახლები (როგორც ლიცენზირებული, ისე არალიცენზირებული), მათ შორის, ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი (შემდგომში - ნინოწმინდის პანსიონი).

ნინოწმინდის პანსიონი ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი რეზიდენტული დაწესებულებაა, რომელსაც ლიცენზია 2016 წლიდან მიენიჭა. პანსიონი 24-საათიან მომსახურებას აწვდის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვნებს. პანსიონში ბოლოს ბავშვები 2016 წელს ჩაირიცხნენ (დანესებულებაში ჩაირიცხა 127 აღსაზრდელი). მთელი ამ დროის განმავლობაში პანსიონში მცხოვრებ მხოლოდ 19 არასრულწლოვანთან იმუშავა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგმა.

2021 წლის აპრილიდან, სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ მიეცათ პანსიონში შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. იმ დროისთვის, დანესებულებაში 56 აღსაზრდელი ირიცხებოდა, მათგან 8 არასრულწლოვანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი ჰქონდა. გარდა ამისა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა, პანსიონის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების გამო, 11 თვის განმავლობაში, 2020 წლის ივნისიდან 2021 წლის აპრილამდე, ვერ მოახერხა დანესებულებაში მონიტორინგის ჩატარება. სოციალურ მუშაკს, მხოლოდ 2021 წლის 26 აპრილს, მას შემდეგ მიეცა დანესებულებაში შესვლის შესაძლებლობა, რაც სახალხო დამცველმა პრობლემა გაასაჯაროვა და შესაბამის უწყებებს მიმართა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სოციალური მუშაკის ვიზიტი ფორმალური ხასიათის იყო - მან ვერ შეძლო დანესებულების სრულფასოვანი მონიტორინგი.

ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებების სისტემურ დარღვევებსა და ცხოვრების არასათანადო პირობებზე წლების განმავლობაში მიუთითებდა სახალხო დამცველი. კერძოდ, სახალხო დამცველის 2015 და 2018 წლების სპეციალურ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არ ატარებს პანსიონებში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის სრულფასოვან მონიტორინგს. ანგარიშებში არაერთხელ მიეთითა, რომ პანსიონებში ბავშვებს უმეტესად არ აქვთ საკუთარი აზრის, შეხედულების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. დანესებულებებში არსებული შეზღუდვები, მისი ინსტიტუციური მოწყობა და არასრულწლოვანთა დიდი რაოდენობა ნაკლებად ქმნის ოჯახთან მიახლოებულ ინკლუზიურ გარემოს. ამასთანავე, პანსიონში არსებული დასჯის ფორმები და აღზრდის მკაცრი წესი არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგმა, ასევე გამოავლინა, რომ პანსიონის ბენეფიციარებს ჰქონდათ პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხითაც, თუმცა არ მიმდინარეობდა მათი სათანადოდ შეფასება და საჭირო სერვისებით უზრუნველყოფა⁴⁰.

40. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2021, 4-6, <https://bit.ly/3yk2gtc> [25.06.2022].

საქმის მიმდინარეობა: მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს არ მიეცა პანსიონში შესვლისა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების - ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, სპეციალური მოსარჩელის სტატუსით მიმართა სასამართლოს დროებითი განჩინების გაცემის შუამდგომლობით და მოითხოვა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მიეცათ ნინოწმინდის პანსიონში მონიტორინგის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რის შემდეგაც, ორგანიზაციამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

2021 წლის 5 მაისს PHR-მა მიმართა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს, დროებითი ღონისძიების გამოცემის მოთხოვნით. ამავე წლის 7 მაისს, კომიტეტმა დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა და ყველა შესაბამის უწყებას მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა დაევალა. თუმცა, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ არ უზრუნველყო აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება, ორგანიზაციამ იმავე მოთხოვნით განმეორებით მიმართა ეროვნულ სასამართლოს და ნინოწმინდის პანსიონიდან ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლობის მქონე ბავშვების დაუყოვნებლივი გამოყვანა მოითხოვა, რადგან შესაბამისი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ პანსიონში ბავშვებს არ ჰქონდათ შესაბამისი გარემო და მაღალი იყო ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის რისკები. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა, გაიზიარა არგუმენტები ნინოწმინდის პანსიონში არასათანადო და შესაძლო ძალადობრივი ატმოსფეროს არსებობის თაობაზე და სახელმწიფოს პანსიონიდან შშმ ბავშვების დაუყოვნებლივ ამორიცხვა დაავალა.

აღნიშნულ საქმეზე დროებითი განჩინებით მიმართვის გარდა, ორგანიზაციამ სასამართლოს ასევე წარუდგინა ძირითადი სარჩელი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ქვეყანაში არსებული ყველა ბავშვთა სახლის დახურვა და ბავშვების ოჯახებში დაბრუნებაა. ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს საანგარიშო პერიოდში არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ასევე, სამართალწარმოება გრძელდება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში.

სამართლებრივი შეფასება: დიდი ზომის ინსტიტუციებში ბავშვების განთავსება ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციითა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებებს, იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე, კერძოდ უზრუნველყოს ბავშვების ცხოვრება, ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში. ბავშვის მოთავსება ბავშვთა სახლში წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას, რომელიც სახელმწიფომ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ ბავშვზე ზრუნვის ყველა სხვა შესაძლებლობა გამოყენებული და ამონურულია. ასევე, ბავშვები ასეთ დაწესებულებაში მხოლოდ მინიმალური დროით შეიძლება, დარჩნენ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება, ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, მათ შორის, უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტებს პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის, ასევე, ზედამხედველობის კუთხით.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 29-ე მუხლი ითვალისწინებს ალტერნატიული ზრუნვის პირობებს, რომლის თანახმად, ბავშვის მიხედვით აღზრდის მიზნით განთავსების ან შვილად აყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობის სახით გამოიყენება მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვა, იმ პირობით, რომ რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, ხოლო რეზიდენტული ზრუნვა აუცილებელია და ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას და მისი საუკეთესო ინტერესების რეალიზებას. ამავე კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია ისეთი რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების შექმნა, რომელიც მცირე ოჯახური ტიპის არ არის, რომლის აუცილებლობა დასაბუთებული არ არის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შეფასების საფუძველზე და რომელიც არ აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის ერთიან სახელმწიფო სტანდარტებს.

ყველა დიდი ზომის ინსტიტუციაში არ არის ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემო, არ არიან შესაბამისი სპეციალისტები, რომლებიც იმუშავებენ შშმ ბავშვებთან, ასევე, ბავშვები ვერ იღებენ საჭირო სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის უფლებათა კოდექსმა გაითვალისწინა დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების დეინსტიტუციონალიზაცია, რა მიზნითაც სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, მიმართ რეზიდენტული ზრუნვის ეტაპობრივ ჩანაცვლებას მიხედვით აღზრდისა და სხვა, ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისით. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიან სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების ეტაპობრივი დახურვის უზრუნველსაყოფად⁴¹.

5.3. PHR საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმის მნიშვნელობა: სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მიიღონ სტომატოლოგიური მომსახურება დროულად, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, რაც მათ შეუმსუბუქებთ ტკივილისგან გამონვეულ ტანჯვას.

ფაქტობრივი გარემოებები: ქცევითი გამონვევებისა და კომუნიკაციის სირთულის გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორც წესი, ვერ სარგებლობენ ჩვეულებრივი სტომატოლოგიური მომსახურებით. შესაბამისად, თითქმის ყველა ტიპის სტომატოლოგიური მომსახურების განვების დროს, საჭიროა ზოგადი ანესთეზია, ე. წ. ნარკოზი, რაც დაკავშირებულია დიდ ფინანსებთან. შშმ პირები ელოდებიან რამდენიმე კბილის დაზიანებას, რათა ერთდროულად იმკურნალონ და დაიზოგოს თანხა. საქართველოს მთავრობისა და სამინისტროს არც ერთი პროგრამა არ ითვალისწინებს მათ დაფინანსებას, ხოლო “რეფერალური პროგრამის” ფარგლებში დაფინანსების მისაღებად, მიმართავენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-

41. ბავშვის უფლებათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

დან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა უწყება გადაწყვეტილებას იღებს 30 დღის ვადაში, რაც არაგონივრული დროა, საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამასთან, სამინისტრო ყველა შემთხვევაში არ აფინანსებს აღნიშნულ მომსახურებას. შესაბამისად, ფინანსების არქონის გამო, შშმ პირებს წლობით უწევთ კბილის ტკივილის მოთმენა, რაც უტოლდება ტანჯვას. ასევე, ქვეყანაში არის მხოლოდ სამი სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც მომსახურებას უწევს ქცევითი გამოწვევის ან კომუნიკაციის სირთულის მქონე პირებს, ვისაც სჭირდება ზოგადი ანესთეზია.

საქმის მიმდინარეობა: 2021 წლის თებერვალში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლების საშუალებით, ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა, რომ შშმ პირები სტომატოლოგიური მომსახურების მიღების დროს ხდებოდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი. კონკრეტული მოსარჩელისგან დამოუკიდებლად, PHR-მა, როგორც „სპეციალური მოსარჩელის სტატუსის“ მქონე ორგანიზაციამ, 2021 წლის 2 მარტს თავად მიმართა სასამართლოს დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით, ხოლო სასამართლოს მიერ განჩინების გამოცემის შემდეგ - წარადგინა ძირითადი სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა, გამოსცა განჩინება და სამინისტროს დაავალა შესაბამისი მექანიზმის შექმნა, რომლითაც ქცევითი გამოწვევების ან/და კომუნიკაციის სირთულის მქონე შშმ პირებს არ მოუწევთ მოცდა სტომატოლოგიური მომსახურების ზოგადი ანესთეზიის მეშვეობით მისაღებად.

ძირითად სარჩელთან დაკავშირებით, კვლავ გრძელდება საქმის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

სამართლებრივი შეფასება: შშმ პირების მიმართ ხორციელდება ირიბი დისკრიმინაცია, ვინაიდან ისინი არიან განსხვავებულ მდგომარეობაში (არ შეუძლიათ კომუნიკაცია და აქვთ ქცევითი დარღვევები), თუმცა სხვა პირების მსგავსად, სახელმწიფოს მხრიდან განიცდიან თანაბარ მოპყრობას, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ერთნაირად არ აფინანსებს სტომატოლოგიურ მომსახურებას როგორც შშმ პირებისთვის, ისე იმ პირებისთვის, რომლებსაც არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, რაც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს შშმ პირები უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის გამო აუცილებელი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას აქვს ვალდებულება, დაამტკიცოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შესაბამისი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, ხოლო საკითხის წინასწარი მოწესრიგება, შშმ პირების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელ და გადაუდებელ საშუალებას წარმოადგენდა, რაც საჭირო იყო შშმ პირების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

5.4. ა. ბ. საბავშვო ბაღის წინააღმდეგ⁴²

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება საბავშვო ბაღში მცირეწლოვანი ბავშვის სავარაუდო დისკრიმინაციას ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

ფაქტობრივი გარემოებები: მცირეწლოვანი ა. ბ. 2019 წლის სექტემბრიდან 2021 წლის ივლისამდე სწავლობდა საბავშვო ბაღში - შპს „გ“-ში. ა. ბ.-ს აღენიშნება განვითარების ეტაპების დარღვევა, თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, არ მოითხოვს სპეციალურ მიდგომებს. მიუხედავად ამისა, საბავშვო ბაღის აღმზრდელები ა. ბ.-ს სრულად არ რთავდნენ შესაბამის აქტივობებში. ა. ბ.-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა განხორციელდა მაშინ, როდესაც საბავშვო ბაღის სხვა აღმზრდელები მზიან დღეს აუზით ერთობოდნენ, ხოლო ა. ბ. ოთახში იყო, მეგობრებისა და თანატოლებისგან განცალკევებით.

საქმის მიმდინარეობა: საია აღნიშნულ საქმეში ჩაერთო მას შემდეგ, რაც ა. ბ.-ის კანონიერმა წარმომადგენელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. სასამართლომ ორგანიზაციის საქმეში გამოჩენის შემდეგ, მოითხოვა ფსიქოლოგის ჩართვა. საქმეზე გრძელდება წარმოება.

სამართლებრივი შეფასება: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მცირეწლოვანი ბავშვის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას საბავშვო ბაღის აღმზრდელების მხრიდან, რაც გამომდინარეობდა არასრულწლოვნის ასაკიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან. მიუხედავად იმისა, რომ ა. ბ. არ საჭიროებდა განსაკუთრებულ და სპეციალურ მოვლას, ბაღის აღმზრდელები არ რთავდნენ შესაბამის აქტივობებში, მაშინ, როდესაც იმავე ასაკის სხვა ბავშვების მიმართ იჩენდნენ განსხვავებულ და მზრუნველ დამოკიდებულებას.

42. მოცემულ საქმეში, როგორც ბავშვის სახელი და გვარი, ისე საბავშვო ბაღის სახელწოდება შეცვლილი ინიციალებით არის მოხსენიებული.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ დაჩქარებულ ვადებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და გეგმა;
- სათანადოდ აღასრულოს გადანყვეტილებები, რომელიც მიღებულ იქნა საერთო სასამართლოების ან/და საერთაშორისო ორგანოების მიერ;
- უზრუნველყოფილ იქნას რელიგიურ გაერთიანებებს შორის თანასწორობა და რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობა;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას, მხედველობაში მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები;
- შეიმუშაოს ერთიანი ხედვა და სტრატეგია თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველოს პარლამენტს:

- სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სქესობრივი დანაშაულების დეფინიციები მოვიდეს შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან.

საერთო სასამართლოებს:

- სასამართლომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელები უნდა განიხილოს და განსხვავებული მოპყრობა დაადგინოს საქმესთან დაკავშირებული მოვლენების ერთიანობაში განხილვისა და შეფასების შედეგად;
- დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე სწორად და სათანადოდ უნდა მოხდეს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილება;
- განხორციელდეს გადამზადება/სწავლება მოსამართლეებისთვის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების პროცესუალურ და საერთაშორისო სტანდარტებზე, მათ შორის, დისკრიმინაციის ნიშნებზე, მტკიცებულებით სტანდარტებსა და მტკიცების ტვირთის განსაზღვრის საკითხებზე.



კოალიცია თანასწორობისთვის